ეროვნული ბიბლიოთეკა



სახელგამი

№ 19

# პიონერი

მუშათა საქმისათვის: იყავ მზად!

15 ოქტომბერი 1930

**პიონერი**

№ 19

პიონერების და მოსწავლეთა საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი.

საქართველოს ა. კ. ო. ცენტრალური ბიუროს და განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის ჟურნალი — ბავშვთათვის.

წელიწადი მე-5

რედაქციის მისამართი:
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 22,
სახელგამი, საბავშო სექცია.

# შინაარსი

— **ი. ლ—ი:** საშემოდგომო თესვა-,
— **ვა-იანი:** გორის პიონერთა მონაწილეობა.
— **ს. ნ—ი:** სამტრედიის პიონერების პატაკი.
— **ყურაშვილი:** მოისმინეთ ჩვენი პატაკიც.
— **გ. ძაგნიძე:** ხელშეწყობის მაგიერ—შეშლა.
— **გ. ქუჩიშვილი:** დამკვრელები.
— **პ. ჭანკოტაძე:** კასპის რაიბიურო სწავლების ფრონტზე.
— **მ. მარქაროვი:** ჩვენც ვმონაწილეობთ.
— **ხ. ჯიჯიეშვილი:** ჯგუფები მუშაობენ.
— **შ. შამფრიანი:** ბავშთა ქალაქი —კოჯორი.
— **ვეისი:** გადაკარგული ხურდა.
— **მ. ესაკიანცი:** ცნობა სოფ. იტრიიდან.
— **ა. სხვაველი:** რა გაკეთდა საწ.-საფ. გეგმის შესასრულებლად.
— **პავლიაშვილი:** ნ. პ. რაიბიუროს ინფორმაცია.
— **დ. ბაღათურია:** საყოველთაო სწავლებისათვის.
— **ვ. წიკლაური:** ოქტომბრის წინ.
— **გრიგოლაშვილი:** გავავრცელოთ ჟურ. „პიონერი“.
— **ვ. ჩ.:** შეუპყრობელი ჩუ-დე.
— **ალი:** საყოველთაო-სავალდებულო სწავლება.
— **ია ჯიბლაძე:** ბუდაპეშტში.
— **გ. ლეჟნიევი:** შემოდგომის თესვის კამპანია.
— **ლ. კუტივაძე:** შეუკავშირებელ ბავშთა შორის.
— **ყდაზე:** პიონერი—გამომგონებელი.
— **ყდებში შიგნით:** სხვადასხვა.



## მრგვალი სახლი

საკოლმეურნეო მშენებლობის წინსვლა და მთელ რიგ ამოცანებთან დაკავშირებით რომელიც გათვალისწინებულია საბჭოთა კავშირის სოციალისტურ შენებაში— რისთვისაც იღწვის პარტია, ხელისუფლება, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები და აგრეთვე საბჭოთა მეცნიერება—ჩვენს წინ ჰშლის მრავალ ახალ შესაძლებლობებს და აუცილებლობას ძველ სოფელ-ქალაქთა გადაგეგმვის და ახლების შენებისას, საბჭოთა, კოლექტიურ მეურნეობათა და კომუნების როგორც საცხოვრებელი, ისე საქონლის ბინების, ქარხნების და სხვათა ასაგებათ.

ამ კითხვით დაინტერესდა ბევრი საბჭოთა მშენებელი და გამოითქვა აზრი ისეთი საკოლმეურნეო შენობების აგების, სადაც ყოველ მხრივ გაუკეთესებული იქნება ცხოვრება, წარმოება, იქნება მზიანი, ჰიგიენური და სხვა,—ესაა სახლი-გიგანტები, რომლის ერთ-ერთი მაკეტიც აქ არის მოყვანილი.

ესაა მრგვალი მოყვანილობის, ორსართულიანი, რომლის მცხოვრებთა რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს, 60-70 სულს.

ასეთ სახლს შუაში აქვს საერთო ოთახი—დარბაზი, შიგ მცხოვრებთა საერთო საქმეზე შესაკრებად, სულ საცხოვრებელ ოთახების რიცხვი იქნება ოცამდე, თვითეული 16-18 კვადრატიულ მეტრის მოცულობით, იქნება აგრეთვე საერთო სამზარეულო, საბანაო, ელექტრო-განათება, წყალი და სხვა...

ამ სახლის პროექტის ავტორი აყენებს მთელ რიგ უპირატესობებს ოთხკუთ სახლებთან შედარებით. მრგვალი სახლი სინათლიანია ყოველმხრივ მთელი დღის განმავლობაში, ნაკლებად უდგება ქარი, სიცივე, მტვერი და უფრო სუფთაა, მოხერხებულად ნაშენი, აშენებასაც ნაკლები ხარჯები სჭირდება, შენდება ყოველგვარ მასალიდან (მაგ., ჩალისა და თიხისაგან და სხვ.).

მას ახლო ექნება მიდგმოლი საქონლის თავლა, ქარხანა, საწყობი, ტრაქტორთა სადგური; ის ახლოს იქნება სამუშაოებთან (მინდორი, სოფელი და სხვ.), რათა მეურნეებმა გრძელ მანძილის გავლით დრო არ დაკარგონ. საქონლის სადგომში ცუდი სუნის გაუვნებლობისათვის მოწყობილია შესაფერი ხელსაწყო, ვენტელიაცია და სხვა.

სახლში არის აგრეთვე ერთი სპეციალური ოთახი, სადაც ყველა მომუშავე სამუშაოდ გასვლისას იცვამს სპეცტანსაცმელს, მუშაობის გათავებისას ბრუნდება აქვე, იხდის, იღებს დუშს და იცვამს აქ დატოვებულ სუფთა სამოსს.

ეს სახლები და საქონლის თავლა შენდება ცეცხლგამძლე მასალიდან.

ერთი ასეთი სახლი, ცდის სახით, წელს შენდება მოსკოვის ახლოს.

ი. ლ—ი

# საშემოდგომო თესვა

საგაზაფხულო თესვის კამპანია იყო.

კულაკები ამბობდენ:

— თავი დაანებეთ, გლეხებო თესვას, სულერთია პური თქვენ არ გერგებათ. სთესეთ იმდენი, რომ არ მოკვდეთ შიმშილით. მაგრამ სოფელი უკვე იცნობს „მეგობრების" ასეთ რჩევას. ის მათკენ არ წავიდა და დავალებები შეასრულა საგაზაფხულო თესვის გადაჭარბებით.

საშემოდგომო თესვის დროსაც ასეთი „დარიგება".

კულკაობა ისევ აშინებს კოლექტივის წევრებს და ცალკე პიროვნებებს:—ნუ სთესთ. კოლექტივებიდან სარგებლობა ცოტა იქნება. დაიმალეთ, რომ მარტო თქვენვე იყოთ, თქვენს ეზოებში...

კულაკობის დამღუპველია — კოლექტივიზაცია. შემოდგომის გეგმიანი თესვა — ნაბიჯია ამ დაღუპვისაკენ. და ამიტომ ასე სისინებენ მტრები.

ახლანდელმა საშემოდგომო თესვამ უნდა აჩვენოს კოლექტივის წევრებს და არა კოლექტიურ სოფლებს ორგანიზაციულად მომზადებული და მეგობრულად ჩატარებული თესვის სარგებლობა.

საშემოდგომო თესვაში მთავრია: ნათესი ფართობის გადიდება იმით, რომ უნდა დაითესოს ის მიწებიც, წინად, რომ იყო დათესილი ან და დიდი ხნის წინად იყო დათესილი.



პიონერები ქარხანაში

საშემოდგომო თესვის ფრონტზე: ვიყოთ მზად

„ხუთწლედის დამლევისათვის საბჭოთა კავშირის კოლექტივიზაცია ძირითადათ უნდა დასრულდეს".
(ი. სტალინი)

თესვა ისე უნდა ჩატარდეს, რომ ნამდვილად კარგი მოსავალი მივიღოთ.

საშემოდგომო თესვისათვის მზადება უნდა დაიწყოს მანქანებისა და იარაღების შეკეთებით. ყოველმა კოლექტივმა ან ცალკეულმა პიროვნებამ უნდა შეაკეთოს თავისი სახნისები, ფოცხები და სათესი მანქანები.

ეს უნდა გაკეთდეს აგრონომებთან ერთად, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება მეტი ან ნაკლები დაითესოს.

თქვენ, ბავშვებო, საჩქაროდ გადაათვალიერეთ კოლექტივისა და თქვენი მეურნეობის ინვენტარი და შეახსენეთ შეკეთება. გააკეთეთ განცხადებათა დაფა და ყოველი ორი - სამი დღის შემდეგ გამოაკარით ცნობები —როგორ მიდის ინვენტარის შეკეთება.

გახსოვდეთ, რომ საზამთრო მარცვალი აუცილებლად უნდა შეიწამლოს.

გაგზავნეთ, ბავშვებო, თქვენი ბრიგადები მარცვლეულის დასარკვევად, დასახარისხებლად. თუ კოლექტივები დასთესენ გადარჩეულ დახარისხებულ თესლს, გაახსენეთ მას, რომ ასეთი თესლი დათესოს ერთ დიდ ნაჭერ მიწაზე გადაურჩეველი გაუხარისხებელი ნათესებიდან ½ კლმ. დაშორებით.

მინდვრების მომზადება უნდა დაიწყოს დაფარცხვით, თესვის დროს აუცილებელია ორგანიზაციულობა, კოლექტივებს უნდა ჰყავდეთ მთესველი ბრიგადები. ბრიგადებმა უნდა მიიღონ მტკიცე დავალებები და სრულადაც უნდა შეასრულონ.

ზამთრის თესვის დაგვიანება შეუძლებელია, ჰკითხეთ აგრონომს, როდის უნდა დაიწყოთ თესვა და როდის უნდა დაასრულოთ. აგრეთვე უნდა გამოიყენოთ წარსული წლების გამოცდილება.

თესვის მზადების დროს უნდა ჩატარდეს დათვალიერება, ის გვიჩვენებს ყველა ნაკლს მზადებაში და შეუძლია თავის დროზე მათი გასწორება.

რის გაკეთება შეუძლია ბავშვებს დათვალიერების დროს?

თვალ - ყური ადევნეთ, რომ ყოველი ნაკლი იყოს შენიშნული და შეამოწმეთ, როგორ ასწორებენ ამ ნაკლს.

განცახადებათა დაფაზე მოათავსეთ გაზეთებიდან ამონაჭრები მეზობელ კოლექტივებსა და სოფლებში თესვის სვლის შესახებ.

რაში შეუძლიათ შეჯიბრება კოლექტივებს, სოფლებს და კერძო მეურნეობებს?

სათესი ფართობის გადიდებაში (გამოუყენებელ მიწების დათესვა).

თესვისათვის თავის დროზე მომზადებაში.

თესლის 100 პროც. შემოწამვლა-გაწმენდის და დახარისხება-გადარჩევაში.

ბავშვებო, გამოიწვიეთ შეჯიბრებაში და შეამოწმეთ ხელშეკრულებათა შესრულება.

საშემოდგომო თესვასთან ერთად იწყება საგაზაფხულო თესვისათვის ხვნა. ამ მუშაობაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნაადრევი ხვნის ცდა. ნაადრევი ხვნა აუმჯობესებს მოსავალს.

ეროვნული ბიბლიოთეკა





ლეწვა სოფ. დიღომში

ვა — იანი

## გორის პიონერთა მონაწილეობა

საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო თესვის კამპანიის საკითხი რაიბიუროს პრეზიდიუმის კრებაზე დამუშავდა და შედგენილ იქნა სამუშაო გეგმა; ეს საკითხი დამუშავდა აგრეთვე წინამძღოლთა და თანაშემწეთა თათბირზე, პიონერ აქტივის საქალაქო შეკრებაზე, მშრომელთა საქალაქო კრებაზე და ყველა რაზმებში. რაზმებმა გამოჰყვეს დამკვრელი ბრიგადები, და სათანადო დავალებების მიცემის შემდეგ ბრიგადები გაიგზავნა სოფლებში ამ საკითხის დასამუშავებლად. სოფლებში დაიგზავნა 14 წინამძღოლი და თანაშემწე და 10 პიონერთა ბრიგადა. რაზმები საკითხს აშუქებენ კედლის გაზეთსა და რადიოში. ყველა რაზმში კეთდება სასოფლო-სამეურნეო კუთხეები. პიონერები სოფლად იღებენ შეფობას სასოფლო სამეურნეო იარაღებზე და უვლიან მათ; გლეხობას ხმამაღლა უკითხავენ, დასვენების დროს უწყობენ სხვადასხვა გასართობებს. რაზმებმა დაადგინეს, დათესონ თითო დღიური. მაგალითად, მე-8 რაზმს აღებული აქვს მიწის ნაკვეთი, რომელსაც კულტურულად ამუშავებენ საცდელ-საჩვენებელი მიზნით.

სოფ. კარბში მე-6 რაზმის პიონერებმა გაწმინდეს სათესი მანქანა, აღრიცხეს მოხნული და მოუხნელი მიწები და ცნობები მიაწოდეს მეჯვრეთის სასოფლო საბჭოს.

პირველმა რაზმმა გამოჰყო ბრიგადა, მისცა მას პრაქტიკული დავალებები და გაგზავნა საშეფო სოფელ სკრაში საკითხების დასამუშავებლად.

სოფელ მეჯვრისხევში 12 სექტემბერს გამოიყო სამი ბრიგადა, რომლებიც გაემგზავრენ მახლობელ სოფლებში: ზერტში, ახალ უბანში, პატარა მეჯვრისხევში და სხვა, სადაც დაამუშავეს საკითხები. სოფლების პიონერებმა ჩაატარეს პრაქტიკული მუშაობა: თესლის შეწამლვა, ტრიერის საშუალებით დარკვევა, აგიტაცია წითელ ბეღლებში თესლის შეტანის შესახებ და სხვა. მეჯვრისხევის პიონერთა რაზმმა კომკავშირელების დახმარებით მოხნა 1 ჰექტარი მიწა, რომელსაც მალე დათესავენ. აგრეთვე პიონერებმა შეაგროვეს სათესლე ხორბალი (7 ფუთი). მეჯვრისხევის მეორე რაზმმა შეაგროვა 13 ფუთი ხორბალი.

---

## გავაძლიეროთ საკოლმეურნეო მუშაობა ღარიბ გლეხთა და მოჯამაგირეთა შორის

ს. ნ—ი

## სამტრედიის პიონერების პატაკი

საშემოდგომო თესვის კამპანიაში პიონერთა მონაწილეობის საკითხი დამუშავდა პიონერხელმძღვანელთა თათბირზე 1 სექტემბერს. რაიბიუროს დირექტივების საფუძველზე, ყველა პიონერთა კოლექტივებმა გამოჰყვეს ბრიგადები, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდენ აგროკულტურულ ლაშქრობაში, როგორიც არის აგრონომიული წიგნების კითხვა გლეხობაში, ლიტერატურის მოწოდება და სხ. (მაგ: კულაშის და ჯიხაიშის აგრო-ტეხნიკუმთან არსებული კოლექტივები).

პიონერკოლექტივებმა გამოსცეს კედლის გაზეთები, სადაც პიონერების მიერ გაშუქებულია საშემოდგომო თესვის კამპანიაში პიონერთა მონაწილეობის საკითხები. რკ. გზის პიონერთა კოლექტივიდან გამოყოფილია ბრიგადა, განსაკუთრებით პიონერთა სახელოსნოდან, რომელიც მიემგზავრება სოფლად მანქანა-იარაღების შესაკეთებლად კომკავშირელების ბრიგადებთან ერთად. ადგილებზე ეწყობა შაბათობები ფართობების გასაწმენდად საშემოდგომო სათესებისათვის (მელაური, ჯიხაიშის აგრო-ტეხნიკუმი, ჯიქთუბანი და სხვა).

პიონერთა ძალებით მომზადებული იქნა სააგიტაციო საღამო-წარმოდგენები, სადაც ესწრებოდენ ღარიბი, საშუალო და კოლმეურნე გლეხები (ნინოშვილის უბანი, მელაური და სხვა). აღსანიშნავია, რომ სკოლების პიონერკოლექტივებს, არდადეგების გამო, სკოლებში სწავლის განახლებამდე მონაწილეობა არ მიუღიათ. ამჟამად გამოყოფილია კულტურული ბრიგადები, რომლებიც მიემგზავრებიან სოფლად კოლმეურნეობებში და ღარიბ გლეხობაში სათანადო მუშაობის საწარმოებლად.

კოლექტივები ზოგჯერ კომკავშირის უჯრედებთან შეუთანხმებლად მუშაობდენ, რაიც აღმოფხვრილია. მუშაობის უკეთ ჩატარების მიზნით გამოყენებულია კოლექტივებს შორის სოცშეჯიბრება.

ყურაშვილი

# მოისმინეთ ჩვენი პატაკიც

ქ. ცაგერის პედაგოგიურ ტეხნიკუმთან არსებულ ამხ. ფილიპე მახარაძის სახელობის ნორჩ პიონერთა კოლექტივის საქმიანობა ამ ბოლო ხანებში ძალზე გამოსწორდა.

ყველა ახლადწამოწყებულ პოლიტიკურ - სამეურნეო კამპანიას აღნიშნული კოლექტივი თავის დროზე ეხმაურება და მასში აქტიურ მონაწილეობას ღებულობს კომკავშირის ორგანიზაციასთან ერთად.

მაგალითად, მოსავლის აკრეფის კამპანიასთან დაკავშირებით გამოიყო პიონერთა სამი ბრიგადა, რომლებიც დაეხმარენ ქვრივ - ობლების ოჯახებს პურის აღებაში (გადუზიდეს ძნები ყანიდან ოჯახში, მოაგროვეს თავთავები, რომელსაც საქონელი აფუჭებდა და სხვა). აგრეთვე ნორჩ პიონერთა ჩვენი კოლექტივის მიერ ჩატარებულ იქნა 2 საერთო შაბათობა: ერთხელ დავეხმარეთ ქვრივ მოხუც ქალს ნაპურალაზე დათესილი სიმინდის მარგვლაში და მეორედ კი —სრულიად ობოლ ბავშს სიმინდის აღებაში. აღსანიშნავია აგრეთვე ჩვენი კოლექტივის მონაწილეობა პირველ დაწყებითი სწავლის შემოღებაში. ახალგაზრდობის მე-16 საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით. კოლექტივში დავამუშავეთ საკითხი: „საყოველთაო - სავალდებულო სწავლის შემოღების მნიშვნელობა„ და კიდეც შეუდექით პრაქტიკულ საქმიანობას. ჩვენმა ნორჩ პიონერთა კოლექტივმა თავს იდვა ქ. ცაგერში მცხოვრებ სკოლის გარეთ დარჩენილ ბავშთა სრული აღრიცხვა, და მართლაც, 8—9 სექტემბერს ბავშები აღრიცხულ იქნენ, რის შემდეგ აღმასკომმა შეამოწმა აღრიცხულ ბავშთა სია და ეს სია გადავეცით ცაგერის სარაიონო განათლების განყოფილებას. აგრეთვე შეფად გვყავს აყვანილი 1 ღარიბი სვანი ბავში, რომელსაც რვეულით და ფანქრებით ვეხმარებით.

ჩვენ სხვა კამპანიებშიაც ვიღებთ აქტიურ მონაწილეობას, მაგ. სასილოსო მშენებლობაში, ობლიგაციის „ხუთწლედი ოთხწლედში“ რეალიზაციის საქმეში და სხვა. ,



პიონერები დემონსტრაციაზე

გ. ძაგნიძე

# ● ხელშეწყობის მაგიერ—შეშლა ●

უნდა ითქვას, რომ სურამის პროფესიონალური ორგანიზაციები არავითარ ყურადღებას არ აქცევენ ადგილობრივ პიონერ-ორგანიზაციებს და ზოგჯერ ხელსაც უშლიან ორგანიზაციულ მუშაობაში. მაგალითად, „ეპო“-ს გამგეობამ პიონერებს უარი განუცხადა 50 კაპეიკის ქაღალდის გაცემაზე: „კაცო, ჩვენ ქაღალდები დაწესებულებისათვის გვინდა“-ო,—ასე გამოისტუმრა გამგემ ქაღალდისათვის მისული პიონერები. დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ, როგორც იქნა, მისცა ქაღალდი „ნაღდ“ ანგარიშზე.

მეორე ფაქტი: ადგილობრივ შვიდწლედთან შეთანხმებით მოეწყო პიონერთა სამხედრო ლაშქრობა; სკოლის გამგეს წინასწარ შეუთანხმდენ, რომ დეკადის მეხუთე დღეს დაისვენებდა მთელი სკოლა და ამ დღეს უნდა მოწყობილიყო ლაშქრობა. მოვიდა დანიშნული დროც. მაგრამ გამგემ უარით გამოისტუმრა ხელმძღვანელი: პიონერებს ვერ გავათავისუფლებო, მიუხედავად იმისა, რომ წესით იმ დღეს დასვენება უნდა ყოფილიყო. გამგის ასეთმა უარმა შეაფერხა ლაშქრობა. ადგილობრივი საბჭოდან მიუტანეს ოფიციალური მიწერილობა, მაგრამ კიდევ უარზე იყო. გამგემ მაინც თავისი გაიტანა და მხოლოდ გაკვეთილების გამოსვლის შემდეგ გაათავისუფლა პიონერები.

ეს ორი ფაქტი საკმარისია იმისათვის, რომ წარმოვიდგინოთ, სურამის მესვეურები როგორ დახმარებას უწევენ პიონერებს.

საჭიროა ამ ხალხმა დროზე შეიგნოს პიონერორგანიზაციების რაობა.

**აქტიურად მივიღოთ მონაწილეობა „მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღი“-ს ჩატარებაში**

გ. ქუჩიშვილი

# დამკვრელები

წინ მიდის მედგრად
დამკვრელი, რაზმი,
და ძლიერდება,
ჩვენი ძალ - ღონე,
იზრდება ცეცხლი
ენტუზიაზმის,
მატულობს შრომის
ნაყოფის დონე!
ჩვენი შეტევა,
ჩვენი მსვლელობა
ვინ შეაჩეროს,
ვინ შეაფერხოს!
ვინც უღალატოს
მოვალეობას,
უმალ უფსკრულში
გადაიჩეხოს!
ამხანაგებო!
იყავით მარჯვედ!
ჩამორჩენილნი
ამხილედ მედგრად!
ჩვენ გავიმარჯვებთ
და ჩვენვე წავალთ
ხუთწლედის გეგმის
წინ შესახვედრად!
იყოს განგაში!
იყოს დარაზმვა!
იყოს შეტევა,
ენტუზიაზმით!
კაპიტალიზმი
გაგუდოს ბრაზმა,
ზეიმს იხდიდეს,
დამკვრელთა რაზმი!
ამხანაგებო!
რაზმს მიჰყვეს
რაზმი!
წინ!
არ დავზოგოთ
ჩვენი ძალ - ღონე!
აღვინთოთ შრომის
ენტუზიაზმით
და მრეწველობის
ავწიოთ დონე!



პიონერები კითხულობენ ჟურნალს

**შევიტანოთ ჩვენი წვლილი საბჭოთა კავშირის პირველი საჰაერო ხომალდის — „პრავდა"-ს ასაგებ ფონდში.**

პ. ჭანკოტაძე

# კასპის რაიბიურო სწავ

ბ.კ.ო. კასპის რაიბიურომ სხვა საკითხებთან ერთად ყურადღების ცენტრში დააყენა საყოველთაო-სავალდებულო სწავლების საკითხი და შემდეგი დადგენილება გამოიტანა:

1) ჩატარდეს სოფლებში ნორჩ-პიონერთა რაზმების კრებები პიონერების მშობლების და მშრომელ ახალგაზრდობასთან ერთად, სადაც დამუშავდება საყოველთაო-სავალდებულო სწავლების საკითხი.

2) გაიშალოს ფართე ახსნა-განმარტებითი მუშაობა კლუბებში, კოლმეურნეობებში და ქოხსამკითხველოებში სავალდებულო-სწავლების პოპულიარიზაციის მიზნით, რისთვისაც მოეწყოს პიონერთა დამკვრელი ბრიგადები კ.კ. ბრიგადებზე მათი მიმაგრებით.

3) მოზარდი პიონერებისაგან გამოყოფილ იქნეს ბრიგადები სოფლად კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში კულტურული გადაფრენის მოსაწყობად.

4) ნორჩ-პიონერთა რაიბიუროსთან საყოველთაო სწავლების საკითხებზე მოეწყოს კონსულტაციები.

5) მოეწყოს ნორჩ-პიონერთა რაზმების შეკრებანი კომკავშირის მიერ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და დაწესებულებებში მოწყობილ მფრინავ მიტინგებზე (პლაკატებით, სიტყვებით და სხვა).

6) მიეცეს მსუბუქი კავალერიის რაზმებს კონკრეტული დავალებანი, რომ გამოარკვიონ, თუ როგორ ემზადებიან საყოველთაო სწავლების დაწყებისათვის ალმასკომი, კოოპერაცია, სკოლები და სხვა.

7) რაიბიუროსთან შეიქმნეს საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი სწავლების დამხმარე მატერიალური ფონდი, სადაც უნდა იქნეს დაუყოვნებლივ გადმოგზავნილი რაზმების მიერ ამ მიზნისათვის შეკრებილი ფული.

8) პიონერთა რაზმების მიერ ჩატარდეს შაბათობანი უფროს ბავშთა მიზიდვით (შენობათა გასაწმენდად, საშენი მასალის გადა-

მ. მარქაროვი

# ჩვენც ვმონაწილეობთ

თელავის ნორჩპიონერთა ორგანიზაციამ (აკის სახ.) მიიღო თუ არა რაიბიუროდან დირექტივა საყოველთაო [სწ]ავლების შემოღების შესახებ, გაიოჰკო პიონერთა მიერ შემდგარი შტაბი, რომელმაც შეიმუშავა თავისი სამუშაო გეგმა და შეუდგა მუშაობას.

მუშაობის მუხლები შემდეგია:

1) პიონერთა შტაბმა მიიღოს აქტიური მონაწილეობა ასაკ გადაცილებული ბავშვების აღწერაში.

2) შტაბმა გამოჰყოს ბრიგადა, რომელიც სისტემატიურად ჩაატარებს საუბრებს ს. შალაურში.

3) შტაბის ინიციატივით სკოლებში მოეწყოს მოსწავლეთა ვრცელი საუბრები.

4. შტაბმა და ბრიგადამ გამოუშვას საგიტაციო კედლის გაზეთი მახლობელ სოფლისათვის.

5) შტაბმა მოამზადოს პლაკატები და გააკრას ქალაქისა და სოფლის დაწესებულებებში.

6) შტაბმა თავისი მუშაობის მსვლელობა გააშუქოს ადგილობრივ პრესასა და რადიოში.

# ლენის ფრონტზე

საზიდავად და სხვა). შემოსული თანხა შემოტანილ უნდა იქნეს რაიბიუროსთან არსებულ საყოველთაო-სავალდებულო დაწყებითი სწავლების ფონდში.

9) 20 სექტემბრიდან 5 ოქტომბრამდე სასკოლო ინვენტარის ათდღიურისთვისაც მოზიდულ უნდა იქნენ სადურგლო და საზეინკლო საქმის მცოდნე პირები კომკავშირის უჯრედების განკარგულებაში გადასაცემად.

10) პიონერების მშობლების მეშვეობით მოეწყოს ცხელი საუზმეები სკოლებთან და ფეხსაცმელების დაკერება ღარიბესი პიონერებისათვის (ამისათვის მოიწვიეთ პიონერთა მშობლების კრება, სადაც დასვამთ ამ საკითხს).

11) განათლების განყოფილებისა და ადგილობრივი სკოლების დასახმარებლად მოეწყოს პიონერბრიგადები, რომლებიც აღრიცხავენ ცალკეულ უბნებში იმ ბავშებს, რომლებიც მოზიდულ უნდა იქნენ საყოველთაო განათლების ქსელში. ამ ბრიგადებს მიეცემა განათლების განყოფილებიდან ან ადგილობრივი სკოლებიდან წინასწარი დარიგებანი.

12) პიონერთა რაზმებში ჩატარებულ იქნას მუშაობა რამდენიმე პიონერის პედაგოგიურ სამუშაოზე გამოყენებით, რისთვისაც მოეწყოს მოკლევადიანი გადასამზადებელი კურსები.

13. მოეწყოს რაზმების მიერ საღამო-წარმოდგენები, ლატარიები და სხვა, და შემოსული ფული გადმოიგზავნოს რაიბიუროს საყოველთაო სწავლების დამხმარე ფონდში.

14. პიონერთა ყოველ რაზმში გამოიშვას კედლის გაზეთის ახალი ნომერი, სადაც უნდა გაშუქდეს სავალდებულო სწავლების და ნორჩ-პიონერების ამ საქმეში მონაწილეობის საკითხი.

15. მთელი ეს მუშაობა ჩატარდეს სოცშეჯიბრების ნიშნის ქვეშ (რაზმების შეჯიბრებაში გამოწვევით).

**რედაქცია სთხოვს კასპის რაიბიუროს მოგვწეროს, თუ როგორ მიმდინარეობს დადგენილებათა განაღდება**

ხ. ჯიჯიეშვილი

# ჯგუფები მუშაობენ

ოზურგეთის მაზრის ლაბის ა. ლ. კ. კ. და კ. პ. არსებული ნ. პ ორგანიზაცია, გადავიდა ახალ ფორმებზე და მეთოდებზე, ღირსეულად შეუდგა თავის მოვალეობის შესრულებას. ჩვენთან ჩამოყალიბებულია საინიციატივო ჯგუფები და წრეები:

1. ხელსაქმის მოყვარულთა წრე;
2. რევოლუციის ბელადების ბიოგრაფიის შემსწავლელი წრე;
3. სანიმუშო ნაკვეთის;
4. სუსტ მოწაფეთა დამხმარე;
5. სას.-სამ. კოლექტივების დამხმარე და სხვა ჯგუფები.

მეცადინეობა სისტემატიურად სწარმოებს. სას.-სამ. ჯგუფებსა და წრეებს ჰყავთ თავისი ორგანიზატორები. კოლექტივების დამხმარე ჯგუფმა შესძლო დახმარებოდა გურიანთის თემის მთლიან სას.-სამ. კოლექტივს, ქვრივობლებს და ღარიბ პიონერებს.

კარგად სწარმოებს მუშაობა ხელსაქმის მოყვარულთა წრეშიაც, რაც უნდა მიეწეროს ხელმძღვანელობის აქტივობას.

შ. შამფრიანი

# ბავშთა ქალაქი—კოჯორი

თითქოს ხეები ცად აწეულან,
ტყე გაჰრილია ალაგ-ალაგად:
კოჯრის მიდამო გადაქცეულა
პროლეტარული ბავშვთა ქალაქად!
აქ უპატრონო ათასამდე ბავშვს
კომუნისტური აღზრდა რგებიათ:
არ აქვს ადგილი მათ დაზანტებას
შრომის გარეშე არ დადგებიან!
უყვართ შრომა და ულევ ხალისით,
სწავლობენ ახალ ყოფის შენებას,
მათი ლაშქარი მედგრად ხვალ ისევ
მშრომელ მშენებელს მიეშველება!
ძველ დროს ზაფხულში აქ ატარებდა
მაღალწოდება ქეიფს და სვამდენ
ღარიბ გლეხების სისხლსა და ღვინოს...
ეხლაც ერთ-ერთი ბაღის კარებთან
მოსაგონებლად ქვას შერჩენია:—
„თავ. ერისთავის სალხინო"!
ჰქონდათ ქეიფი ხალხზე ნადავლით,
ჰქონდათ ქეიფი დაუსრულებლად.
ასე ამბობდენ—ჩვენი ბადალი
მიწაზე არვის არ ეგულება!
დღეს ეგ ადგილი მთით დარაზული
გვხიბლავს მიღწევით და ჩვენც ვამაყოფთ,
ახალთაობა სდგას დარაზმული—
მტრების ზრახვები, რომ გადალახოს.
ხედავთ რამდენი გიგანტებია
ჩვენი მედგარი შრომით ნაგები:
სახელოვანი ბრიგადებია
შეხედ — გამურული ამხანაგები!
ყველგან გუგუნებს ინდუსტრია და
მასთან იზრდება ჩვენი ტემპებიც:
მტრების ზრახვები რომ გატიალდა
ინდუსტრიალურ შემოქმედებით!
ძველი ცხოვრება სახეს იცვლის და
ხარჯავს მშრომელი შრომას ბარაქით,
სხვა მიღწევებთან ერთად გვიზიდავს
პროლეტარული ბავშვთა ქალაქი.



პიონერები ეხმარები. ნ გლეხს რთველში



ნავთის საქაჩი ქარხანა

ვეისი

# გადაკარგული ხურდა

პეტია ბორზაკოვმა ამოირჩია რვეული, ფანქარი და რამდენიმე კალამი. ნოქარმა გამოსწერა 68 კაპეიკის ჩეკი. სალაროში ხურდა არ აღმოჩნდა. არც პეტიას ჰქონდა სამ მანეთიანის მეტი. ყოველ შემთხვევისთვის პეტიას სჭირდებოდა ჯიბეში ჰქონოდა ექვსი შაური მაინც.—და დგა და ფიქრობდა. ყელსახვევს დაუწყო სრესა. როგორ მოქცეულიყო? ბოლოს მაინც იძულებული შეიქნა, ეყიდნა კიდევ რამდენიმე რვეული, რომელიც ეხლა სრულიად არ ესაჭიროებოდა.

ხურდის უქონლობის გამო უხერხულ მდგომარეობაში იგი რამდენჯერმე ჩავარდა: ზედი-ზედ ორ სალამოს ვერ მოხვდა კინოში. სეანსის დაწყებამდე ძალიან ცოტა დრო დარჩენილიყო; ჯიბეში სამი მანეთიანის მეტი ფული არ ჰქონდა, მანეთიანი ბილეთის აღება კი გაუძნელდა. რაზმშიდაც ლაპარაკობდენ პიონერები, ვერცხლის ფულის უქონლობის გამო მომხდარ შემთხვევებზე.

პეტია ბორზაკოვის მამა იყო ხარატი.

მეორე წყება მუშაობას ორ საათზე იწყებს. ტრამვაით ქარხნამდე 30-40 წამი უნდა. ჩვეულებრივ სადილის შემდეგ, პირველ საათზე, პეტიას მამა გამოდიოდა სახლიდან და აწყობდა როგორც ქარხანაში მისვლას, ისე დაზგის მიღებასა და დროზე მუშაობის დაწყებას.

ტრამვაისთვის საჭირო ორშაურიანის შოვნა ყოველთვის შეიძლებოდა, და თუ არ აღმოჩნდებოდა ჯიბეში, კონდუქტორს მისცემდი მანეთიანს და ხურდას მიიღებდი.

და აი ერთი ხანია ორშაურიანის უქონლობამ ყოველივე ანგარიში არივ-დარია. დაიკარგა არა მარტო ორშაურიანი, არამედ საერთოდ ვერცხლის ფული: ორშაურიანი, სამშაურიანი და აბაზიანი.

ვერცხლის ფული არა აქვს არც კონდუქტორებსა და, არც მგზავრებს.

ტრამვაი ხშირად მოუწესრიგებელი დაწესებულებაა. თითქმის ყოველთვის სივიწროვეა, მოქალაქეები ხშირად ჩხუბობენ. შეიძლება კაცი ძალიან დინჯი და გულკეთილი იყოს. მაგრამ იდაყვით მაინც მიაწვეს მეზობლის მუცელს, ფეხზე ფეხი დააბიჯოს, ჩაუჯდეს კალთაში და სხვა...

ტრამვაის ასეთ უსიამოვნებას მოემატა კიდევ ერთი: დაიკარგა ორშაურიანი.

გაუწოდებ ქაღალდის მანეთიანს, და ხურდა არ არის. უნდა უცადო სანამ ხურდა დაუგროვდება კონდუქტორს, ან და იძულებული ხარ ჩამოხვიდე ტრამვაიდან.

ორშაურიანის უქონლობამ პეტიას მამა უკვე რამდენჯერმე დააგვიანა სამუშაოზე. დაზგის შეჩერება ქარხანას რამდენიმე ასეული ორშაურიანის ზარალს აყენებს.

გადაკარგული ვერცხლის ფული უბრალო უსიამოვნება და უხერხულობა არ არის. ვერცხლის ფულის გადაკარგვა არევ-დარევას იწვევს მთელ სახელმწიფოში, მრეწველობაში, ვაჭრობაში და მთელ ჩვენს სამეურნეო ცხოვრებაში. ფული ხომ ყოველ საქმეში იღებს მონაწილეობას და მათშორის ვერცხლის ფულიც.

კოოპერატივში სალაროსთან დგება ორი რიგი: ერთი იხდის ფულს, ხოლო მეორე უცდის ქაღალდის ფულის დახურდავებას.

დაკარგული ვერცხლის ფული გვართმევს დროს, ერთმანეთში აჩხუბებს ხალხს, ადამიანს აიძულებს თავი დაანებოს საჭირო ნივთის ყიდვას, იწვევს სამუშაოზე დაგვიანებას.

ერთ-ერთ სასადილოში ჩასუქებული მოქალაქე იძულებული შეიქნა სრული სამი მანეთის სადილი შეეჭამა, —არ იყო ხურდა. კარგი რომ დიდი სტომაქი გამოადგა... რა მოუვიდოდა პატარა სტომაქის მქონე ადამიანს?

სად გადიკარგა ვერცხლი? ამაზე გვიპასუხეს საბჭოთა მტრების სპეკულიანტებისა და კულაკების—პირდაღებულმა სკივრებმა. ს. ს. გ. ც. თანამშრომ. აღმოაჩინეს ბევრი გადამალული ვერცხლი არა მარტო მუდმივ კლასობრივ მტრებთან,—გაჩხრეკის დროს ვერცხლი აღმოაჩნდათ კერძო პირებს, კოოპერატივების მოლარეებს და დაშინებულ მოქალაქეებს.

ქალაქ ტვერში მღვდელი გ. ი. გვოზდევი „ქრისტეს მიერ შვილთა“ შემოწირულ ფულს ინახავდა ორმოში. მორწმუნენი შემოწირულებას საინზე დებდენ. ხუცესს კი იგი მიქონდა ორმოში. 300მან. ვერცხლის ფულის ჩამარხვა მოასწრო გაპრჯე ღვდელმა; 63მან. და 30 კაპ. კი ხელზე აღმოაჩნდა.

ვოლგის ნაპირებზე მცხოვრებ გერმანელების სატახტო ქალაქ პოკროვსკში ყოფილმა ვაჭარმა მარტენმა ორმოში ჩაფლა 100 მან. ვერცხლის ფული.

ტამბოვში, კრასნოდარში, მოსკოვში და სხვა ქალაქებში მრავალი ათასი მანეთის გადამალული ხურდა ფული აღმოაჩნდათ კულაკებს, ვაჭრებს და სპეკულიანტებს. მოსკოვში ვერცხლის ფულს მალავდენ საბჭოთა დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეები, და ტრამვაისა და ავტო ბუსების მოლარეები და მეეზოვეები.

ფულის გადამალვას თავისი მიზანი ჰქონდა: ამით უნდოდათ საბჭოთა ფულის სისტემა არევ-დარეულიყო. ინახავდენ თვითონ და სხვებსაც ურჩევდენ. საბჭოთა მშენებლობის მტრებმა ხმა გაავრცელეს, თითქოს საბჭოთა მთავრობას გადაწყვეტილი ჰქონდეს ფულის სრულიად მოსპობა. „აგიტატორები“ ამბობდენ, რომ ყოველი საქონელი გაიცემა წიგნაკებით, ქაღალდის ფუ ლიკი მალე უბრალო ქაღალდათ იქნება გამოცხადებული და დაეკარგება ყოველივე ღირებულებაო.

შეინახეთ ვერცხლი. ლითონის ფული ყოველთვის გამოდგება.

მოსახლეობის ჩამორჩენილმა ნაწილმაც დაიჯერა, ვერცხლის ფული ჯიბეებიდან გადადიოდა სანდო კუნჭულში.

### საიდან მოდის მავნებელი აგიტაცია

გაძლიერებული ანტისაბჭოთა აგიტაცია გამოიწვია ჩვენში საქონლის დროებითმა ნაკლებობამ, რაც ყოველთვის უფრო საგრძნობი ხდება შემოდგომაზე.



პიონერი კაპიტალიზმს
საფლავს უთხრის—ეს იციან;
და ამიტომ ფაშისტური
აპატიმრებს პოლიცია,

ამ დროს იკრიბება მოსავალი. სოფელი იმარაგებს ყოველგვარ საქონელს. სოფელს კი სჭირდება ძალიან ბევრი რამ და ფაბრიკა ქარხნებში დამზადებული საქონლის უმეტესი ნაწილი იქ მიდის.

საქონლის ნაკლებობამ ბაზარზე შექმნა მეტათ მწვავე მდგომარეობა, რაც ჩვენმა მტრებმა თავის მიზნებისათვის გამოიყენეს.

საქონელი არ ჰყოფნის მცხოვრებლებს, რადგან მოსახლეობას ყიდვის დიდი უნარიანობა აქვს.

საქონლის მოთხოვნილება სჭარბობს მიწოდებას.

კლასობრივმა მტრებმა არ გაუშვეს შემთხვევა, ბაზრის მდგომარეობის გამწვავება თავის მიზნებისათვის გამოეყენებინათ. თუ საქონელი არ იქნება დადგება სიმშილი. ქაღალდის ფულით ვერაფერს იყიდი—სისინებდენ მტრები.

როგორ არის საქმე საქონლის ნაკლებობის მხრივ? ჩვენ არ გვყოფნის ქსოვილები და ფეხსაცმელები. ნაკლებობაა პურის, ხორცის, შაქრისა და სანოვაგის.

ყველა ეს ნაკლებობა დროებითია. წელს სათესი სივრცე ძლიერ გადიდებულია. პური იქნება შემოდგომაზე.



უცხოელი პიონერი
დაბრკოლებას ასე ლახავს
რადგან იცის უამისოდ,
რომ ის იქ კარგს ვერა
ნახავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბამბის ნათესებმა შუა აზიაში შარშან არ მოგვცეს მოსავალი. საქსოვ ფაბრიკებს არ ეყოთ ნედლეული. წელს ბამბისა და შაქრის ჭარხლის ნათესი სივრცე თითქმის ორჯერ მეტია შარშანდელზე. ნედლეული ბევრი იქნება. ფაბრიკები ამუშავდება და შემოსავენ მცხოვრებლებს.

მთავრობა იღებს გადამჭრელ ზომებს, რათა რაც შეიძლება მალე აღმოფხვრას ხორცის, შაქრის და ბოსტნეულის ნაკლებობა.

წრეულს ბოსტნეული ბლომათ მოვიდა ჩვენს ბაღბოსტნებში; საჭიროა მხოლოდ იგი მომხმარებელს კოოპერატივმა მიაწოდოს. ამიტომ საჭიროა კოოპერატივის საქმიანობის მოწესრიგება.

მართალია თუ არა, რომ მთავრობას გადაწყვეტილი აქვს ფული აღარ გამოუშვას? რასაკვირველია არა. ეს ჭორია. ამას ავრცელებენ კონტრ-რევოლიუციონერები. მთავრობა მთლიანათ ასრულებს ვერცხლის ფულის გამოშვების გეგმას; ის კიდევაც ადიდებს ვერცხლის ფულის გამოშვებას შემოდგომისათვის—პურის მომარაგების დაწყების დროს.

თუ გამოვითვლით, რამდენი ვერცხლის ფულია გამოშვებული მოსკოვისათვის, დავინახავთ, რომ ყოველ მოქალაქეზე მოდის 3 მანეთი ხურდა ფული, ვერცხლის ფული, თუ მას არავინ დამალავს, თავისუფლად გადადის ერთი ხელიდან მეორე ხელში. ერთს მეტი აქვს ხურდა ფული,—მეორეს ნაკლები, მაგრამ ხურდა ყოველთვის არის.

მაგრამ ჩვენი მტრების სკივრების ასავსებათ ვერცხლის ფულის მოჭრას, რა თქმა უნდა ვერ მოასწრებს სახელმწიფო. არც შეიძლება მისი უგეგმოთ მოჭრა. ფულის რაოდენობა საქონლის რაოდენობასთან უნდა იყოს შეფარდებული, წინაალმდეგ შემთხვევაში ფულის ფასი დაეცემა.

მართალია თუ არა, რომ ფულს შესცვლიან ბარათები და სურსათის წიგნაკები? ასე შეუძლია ილაპარაკოს მხოლოდ იმან, ვინც წიგნაკს ვერ ღებულობს—კულაკს, ვაჭარს და მისთანებს..

სურსათის წიგნაკი მათ არ აძლევს სპეკულიაციის საშუალებას. ჩვენ კი გვეხმარება საქონელი მივცეთ მხოლოდ მშრომელთ.

ახალ სესხზე, „ხუთწლედი ოთხ წელიწადში“ ათასობით ხელს აწერს მშრომელი მასა. შემთხვევით არ მომხდარა, რომ ხურდა ფული გაჰქრა სწორედ სესხზე ხელის მოწერის დროს.

ჩვენმა მტრებმა იციან, რომ მშრომელი მასსა სახელმწიფოს სესხად ფულს აძლევს მშენებლობის გასაფართოებლად. მტერს უნდა იგი მშენებლობა ჩაშალოს. უბადრუკი ცდაა. მაგრამ ერთს მაინც მიაღწიეს—ხურდა გაჰქრა.

**მტერი პირში ჩალა გამოვლებული დარჩა.**

გლეხს ქალაქში ჩამოაქვს კვერცხი, კარაქი, რძე. ზოგიერთი მათგანი მტერმა ისე გააბრუა აგიტაციით, რომ ფასს მოითხოვდენ უსათუოდ ვერცხლის ფულით.

რძის ჩამოსხმისა და კვერცხის გადათვლის დროს, ერთი გლეხის ქალი ასე მსჯელობდა:

— მომცემენ ქაღალდის ფულს; ძია სიმონი კი ამბობს, ქაღალდის ფულს აწი აღარ მიიღებენო. ქალაქში მუშებს მისცემენ ბარათებს, გლეხმა კი რა ქნას? ვერცხლით ასე თუ ისე მაინც შეიძლება რაიმეს ყიდვა. მე მჭირდება ჩექმა, კაბა და ბავშებსაც უნდა მიუტანო რამე. საქონელი არ არის. რათ გამომადგება ქაღალდის ფული? ისევ ვერცხლი მქონდეს შენახული.

ასე ლაპარაკობდა არა მარტო ერთი მერძევე ქალი. ძია სიმონისთანა ადამიანებმა კარგათ იციან, სად და როგორ უნდა ილაპარაკონ საბჭოთა წინაალმდეგ.

ასეთ მავნე აგიტაციას საჭიროა უპასუხოთ განმარტებით, თუ სად გაჰქრა ვერცხლის ფული. პანიკას რომ თავი მივსცეთ არ ღირს, და არც არის ისეთი მდგომარეობა. საბჭოთა მთავრობა შესძლებს გაუსწორდეს ····აკის მტრებს.



**პიონერი:** ძია, ვაჭარმა წუხელის,
მიწაში ჩაფლა ფული...
**მუშა:** ნუ გეშინია, ვიპოვით,
დაიმშვიდევი გული...

ვერცხლით სპეკულიაცია მტრების კონტრრევოლიუციონური ბოროტმოქმედებაა. ქვეყნისა და მრეწველობის გარდაქმნა, ახალი ცხოვრების დაფუძნება ძნელი საქმეა. სირცხვილია პანიკას მივცეთ თავი. საჭიროა სიძნელენი გადავლახოთ, და ერთი წუთითაც აო დავკარგოთ გამძლეობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტფილისელი პიონერები შაბათობაზე

ა. სხვაველი

# რა გაკეთდა საწარმოო-საფინანსო გეგმის შესასრულებლად

ლენრაიონი ტფილისში ისეთი უბანია, რომელიც წარმოადგენს პროლეტარულ შემოქმედს, აქ არის ქარხნები, რომლებიც ყოველდღე მუშაობენ, ადნობენ თუჯსა და რკინას. ჩვენი ქვეყნის მშენებლობისათვის. აქაური ნ.-პიონერთა კოლექტივები მთლიანად დაკავშირებული არიან ქარხნებთან. საწარმოო - საფინანსო გეგმის ნათლად შესრულებისათვის, მათ ძალიან ბევრი რამ გააკეთეს: გამოყოფილია ნ.-პიონერთა კოლექტივებიდან ბრიგადები, რომლებიც ენერგიულად აკეთებენ ყოველივეს, რასაც კი დაავალებენ უფროსი მუშები. პიონერებს შეფად ჰყავთ აყვანილი დაზგები, სადაც შეძლებისდა გვარად აკეთებენ საქმეს. ლენრაიონის პირველ კოლექტივს ხელშეკრულება აქვს დადებული მთავარი სახელოსნოს ერთ საამქროსთან. ხელშეკრულება გულისხმობს წარმოების წინ წაწევას.

ცხადია, დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ ორი წუთით გააცდინო დაზგა, დააგვიანო. — ეს მთელ ქარხანას აძლევს დანაკლისს, ამიტომ ლენრაიონის ნ.-პიონერთა კოლექტივებმა მიამაგრეს წარმოებას მსუბუქი კავალერისტები, რომლებიც თვალყურს ადევნებენ მარკების ჩამოკიდებას, შემდეგ კი მოხსენებებით გამოდიან საწარმოო თათბირებზე.

ლენრაიონის ამხანაგებს ბევრი რამ გაუკეთებიათ საწარმოო - საფინანსო გეგმისათვის, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი იბრძვიან ხუთწლიანი გეგმის ოთხწლედში შესრულებისათვის.

აქაური ამხანაგების მუშაობა ენტუზიაზმით არის სავსე.

რა გაკეთდა „26 კომუნარის“ რაიონის ნ.-პიონერთა კოლექშივებში საწ. საფინანსო გეგმისათვის?

ამ საკითხის ირგვლივ ყველა კოლექტივში ჩატრადა საუბრები, მოხსენებები და ყოველი პიონერი გაერკვა იმაში, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საწ. საფ. გეგმის სწორედ შესრულებას. კოლექტივებში გამოყო ბრიგადები, რომლების აგიტაციით ქარხნებში დამკვრელ ბრიგადებში შევიდა 445 მუშა. ეს ყველაზე დიდი მიღწევაა, რასაკვირველია, პიონერებს დაუხარჯავთ ენერგია წარმოებაში მამების ენერგიული ჩაბმისათვის. პიონერებმა წარმოებებში გააკრეს პლაკატები, ლოზუნგები:

„არცერთი მუშა დამკვრელობის გარეშე“. „ყველანი — დაზგებთან დამკვრელ დღეს“ და სხვა.

15 ბრიგადამ შეაგროვა მუშათა წინადადებები და გადასცა იქ, სადაც ჯერ იყო. 10 ბრიგადა მიმაგრებულია წარმოებებზე.

როგორც ხედავთ, ამხანაგებო, ლენრაიონის და „26 კომუნარის“ სახელობის რაიონის ნ.-პიონერთა ორგანიზაციებს ბევრი რამ გაუკეთებიათ საწარმოო - საფინანსო გეგმის დროზე შესრულებისათვის.

ისინი იბრძვიან, რომ წარმოებაში მოსპონ დროს გაცდენა და დააჩქარონ ხუთწლიანი გეგმის ოთხწელში შესრულების ტემპი.

ამხანაგო პიონერებო, ჩვენ მუდამ მზად უნდა ვიყოთ ყველა სამეურნეო ფრონტზე ასე ბრძოლისათვის, მუდამ ენტუზიაზმი უნდა გვიფრთოვანებდეს გულს ჩვენი ქვეყნის სოციალისტურად გარდაქმნისათვის.

მ. ესაკიანცი

# ცნობა სოფ. იტრიიდან

სოფელ იტრიას ნორჩპიონერები მხიარულად შეუდენ საშემოდგომო თესვის კამპანიას. პიონერებმა წითელარმიელისა და ქვრივი ქალის ოჯახს გაუწმინდეს მიწა ქვებისა და სიმინდს ძირებისაგან.

აგრეთვე პიონერებმა დაადგინეს ყველამ შემოიტანოს პიონერორგანიაზციაში 1-5 გირვანქა პური, რომ განხორციელდეს პურის დამზადების გეგმა სურამის თემში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ავჭალის შუშის ქარხანაში

პავლიაშვილი

## ნ. პ. რაიბიუროს ინფორმაცია

საკითხი დამუშავებული იქნა ნ. პ. რაიბიუროს სხდომაზე; შემუშავდა გეგმა და გაეგზავნა კოლექტივებს სადირექტივო წერილები.

მოწვეული იქნა კოლექტივის ხელმძღვანელთა თათბირი (კ. კ. მდივნებთან ერთად), სადაც დამუშავდა საშემოდგომო თესვის საწარმოო საკოლმეურნეო ლაშქრობის საკითხი.

შემდეგ საკითხი დამუშავდა პიონერკოლექტივის შეკრებებზე, სადაც შემუშავებულია საშემოდგომო თესვის კამპანიაში მონაწილეობის გეგმა. ჩამოყალიბებულია ბრიგადები, რომელნიც მიმაგრებულნი არიან სამკითხველოებზე და წითელ მოედნებზე ახსნა განმარტებითი მუშაობის წარმოებისათვის. აგრეთვე გამოყოფილია ბრიგადები ხუთ-ხუთი აქტიური პიონერის შემადგენლობით, რომელნიც იმუშავებენ ტრიერებზე პრაქტიკულად დასახმარებლად.

რაიონში განზრახულია საჩვენებელი პიონერკოლექტივების მიერ მოიხნას 4 ჰექტარი მიწა პურისათვის და შემოსავალიც გადირიცხოს საყოველთაო სავალდებულო სწავლების მატერიალურად დამხმარე ფონდში, რომელიც არსებობს ნ. პ. რაიბიუროსთან.

დამატებით მასალებს გაცნობებთ ჩატარებული მუშაობის შესახებ.

დ. ბალათურია

## საყოველთაო სწავლებისათვის

საყოველთაო სავალდებულო პირველდაწყებითი სწავლების წარმატებით ჩატარებისათვის ქუთ. ნ.-პ. სარაიონო ბიურომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა.

ა.-წ 10 სექტემბერს მოწვეულ იქნა ნ.-პ. სარაიონო ბიუროს წევრთა და პიონერხელმძღვანელთა გაფართოებული თათბირი, სადაც პირველ საკითხად იდგა საყოველთაო სავალდებულო სწავლების საქმეში პიონერთა ორგანიზაციების მონაწილეობა, რომლის ირგვლივ ინფორმაციული მოხსენება გააკეთა სარაიონო ბიუროს თავმჯდომარემ ამხ. მიხეილ ბოგდანოვმა. ამავე თათბირმა დაამტკიცა წინასწარ შემუშავებული გეგმა აღნიშნული საკითხის ჯეროვანი პოპულიარიზაციისათვის.

20 სექტემბრიდან 5 ოქტომბრამდე რაიონის მაშტაბით უნდა ჩატარდეს ინვენტარის შეკეთების ორკვირეული, სადაც გამოყენებული იქნებიან დურგლები, და ზეინკლები. ამასთანავე 30 სექტემბრამდე ნორჩ-პიონერთა კოლექტივების ბავშთა შეკავშირებით მოეწყობა წარმოებებში და საერთო საზოგადო სამუშევრებზე შაბათობები, კინოსეანსები, მხიარული სალამოები და შემოსული თანხა მოხმარდება საყოველთაო პირველდაწყებით სწავლების საქმეს.

აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლების კომუნიზაციასთან დაკავშირებით და ბავშთა კომუნისტურად აღზრდისათვის საჭიროა სკოლების პ.-კ. 20 ხელმძღვანელის მობილიზაცია.

**საბოლოოდ უნდა აღინიშნოს, რომ ქუთ. ნორჩ პიონერთა სარაიონო ბიურო დასახელებულ ღონისძიებათა ნაყოფიერად შესრულებისათვის სოცშეჯიბრებაში იწვევს ზესტაფონის და სამტრედიის ნორჩ-პიონერთა სარაიონო ბიუროებს.**

ვ. წიკლაური

## ოქტომბრის წინ

ჰა, ვემზადებით საოქტომბეროდ,
წითელ მხარეში არის დღეობა;
გვიხარია და წინ წინ მიიწევს,
საბჭოთა ქვეყნის მოსახლეობა!

დღეს, ოქტომბერი თავის გარშემო,
ყოველ მხრივ იკრებს მასებს
მთლიანად...
შენც პიონერო ნორჩი ძალები
აამოძრავე ხალისიანად!

ბრიგოლაშვილი.

## გავავრცელოთ ჟურ. „პიონერი“

წყალტუბოს კოლექტივში „პიონერი“-ს გავრცელება მოისუსტებს; ორივე კოლექტივს (90-მდე წევრი) გამოწერილი აქვს 82 ცალი „პიონერი“ სამ - სამი თვით, რაც არ კმარა; ახლა ეს სამი თვე უკვე თავდება და ჟურნალის გზავნასაც შეგვიწყვეტს რედაქცია. საჭიროა განვაახლოთ ხელის მოწერა, და ამისათვის საჭიროა გამოყოფილ იქნენ პიონერკოლექტივიდან ბეჭდვითი რწმუნებულები, რომლებმაც უნდა აწარმოონ ხელის მოწერა პიონერებსა და დაურაზმავ ბავშებში, საჭიროა ჩავატაროთ ჩვენ ჟურნალ „პიონერ“-ზე ხელმოწერის ფართო კამპანია და გამოვიწეროთ ყველამ არა სამი თვით, არამედ წლით ან ექვსი თვით.



მამა, გეყო ლოთობა—
და ყველასგან გაკიცხვა...
მოდი, მსურს შეგასწავლო,
დავიწყოთ, წერა-კითხვა.

## დაიწყო კულტურულ-განმანათლებელი მუშაობის შემოწმება — ჩავებათ ამ მუშაობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. ჩ.

# შეუპყრობელი ჩუ-დე

ჩინეთიდან ახალი ცნობები მოვიდა: ჩუდეს თავი გაძვირებულა, ჩინეთის გენერლები მასში უკვე ასიათას დოლარს აძლევენ. მაგრამ ამით უფრო გაძნელდა მისი შოვნა.

წითელი არმიის კორპუსში, რომელსაც ჩუდე და მისი მგობარი მას ძე-დუნა ხელმძღვანელობენ, უკვე 20.000 მებრძოლამდეა. წითელმა არმიამ ცზიანისპროვინცია მთლიანად გადაიარა. ნანკინის ჯარები ყველგან მარცხდებიან. მათ ხარჯზე წითელი არმია იარაღდება და ძლიერდება. ნანჩანის პროვინციის დედა ქალაქი წითელი ჯარით და აჯანყებული გლეხებით არის ალყა შემორტყმული. წითლების მეორე ნაწილი კი დიდ სანავსადგურო ქალაქ ცზიუცზიანზე აწარმოებს შეტევას.

საბჭოების წითელი დროშა ამ პროვინციაში თითქმის ყველგან ფრიალებს. მემამულეები (ჯენტრი), კულაკები და მევახშეები (დუხასი) თავრეტდასხმულნი უგზოუკვლოდ გარბიან. მათი ციხე-სასახლეები აჯანყებული გლეხების ხელშია.

გლეხური რევოლიუციონური არმიის საშველად ქალაქებში ფართოვდება და იზრდება მუშათა გაფიცვების ტალღები. გლეხური რევოლიუცია მტკიცე პროლეტარული ხელმძღვანელობის ქვეშ ვითარდება.

შანხაის „ნაგაი ვატა კაიას“ საფეიქრო ქარხნის ყოფილი ფეიქრის ჩუდეს სახელი ჩინურ გაზეთებს პირიდან არა შორდებათ. ის შემზარავ შიშსა ჰგვრის კაპიტალისტებს, მემამულეებს, გენერლებს და ყველა მათ დამქაშებს, მამაპაპით დამკვიდრებული ადგილიდან ერეკება და მოსვენებას არ აძლევს.

აგერ უკვე სამი წელიწადია, რაც მან საფეიქრო დაზგა შაშხანაზე შესცვალა და ახლა მისი რაზმები ფუცზიანის პროვინციებში დაჰქრიან და ყველგან გლეხთა აჯანყების ცეცხლს ანთებენ.

იქ, სადაც კი ჩუდე ყოფილა, ძველი ჩინეთიდან აღარაფერი დარჩენილა: წაშლილა და მიწასთან გასწორებულა ძველი მიჯნები, რომლებიც მინდვრებს პაწაწკინტელა ნაჭრებად ჰყოფდენ, ცეცხლმა გაანადგურა იეროგლიფებით დაწერილი ქაღალდები, რომლებიც ვაჭრებს და მემამულეებს უზომო უფლებას აძლევდენ მშრომლებზე.

1927 წლის რევოლიუციონურმა ტალღამ უფრო გააფართოვა ფეიქრის გამოცდილება; მისი შეგნება იმდენად ასცილდა ლუკმაპურისთვის ყოველდღიურ მზრუნველობას, რომ ჩუდე კომუნისტი გახდა.

რეაქციის გამარჯვებამ მას ნანჩანში, ჯარში მოუსწრო. თავისებური თავდავიწყებით შეუდგა ის რევოლიუციის მოღალატე გომინდანელების და გენერლების წინააღმდეგ აჯანყების მზადებას

ხოლუნის და იეტინის აჯანყებული ნაწილები გუანდუნზე სალაშქროდ მიდიან. ჩუდეც მათთან არის.

ჯაომსთან ჩუდეს ჯარი თავის ძირითად ნაწილს მოსწყდა და მტრის ჯარის ალყაში მოექცა. ამიტომ ის აქ დამარცხდა. მისი რაზმი მთებში გაიფანტა. თვითონ ჩუდე კი ფუცზიანის პროვინციაში გაიქცა

ასეთივე ბედი ეწვიათ ხოლუნს და იეტინს.

კანტონში გენერლები „წითელ საფრთხეზე“ გამარჯვებას დღესასწაულობდენ. მაგრამ მათი ზეიმი ნაადრევი იყო.

ხოლუნისა და იეტინის ჯარის ნაწილები ხაიფინში და ლუფინში გაძვრენ და რევოლიუციონურ გლეხობასთან ერთად იქ საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. ჩუდე კი, ჯერ ორ თთვესაც არ გაევლო, რომ ისევ ჯაომსში გაჩნდა.

მის გარშემო დაიწყეს თავის მოყრა მისმა ძველმა ჯარისკაცებმა. ჩუდე მშვიდობიან მოლაპარაკებას აწარმოებს გენერალ ფან-შიშენთან, თავის მრავალრიცხოვან ჯარზე ასიმნებს. ამ ხნის განმავლობაში ის ასწრებს ორი სამი ასეული მებრძოლის შემოსვას და შეიარაღებას.

ასე წარმოიშვა პირველი მუშათა და გლეხთა რაზმი, რომელიც ბოლოს ჩინეთის მთლიანი წითელი არმიის მეოთხე კორპუსად გადაკეთდა.

პირველი მისი საბრძოლველი ოპერაცია იყო ხუნანის პროვინციაში ჩენჯოუს ქალაქის დაპყრობა. ქალაქი წითელარმიელების ხელში ისე გადავიდა, რომ ერთი თოფიც არ გავარდნილა. მოსახლეობას არც კი სჯეროდა ეს, მაგრამ როცა სახლის კედლებზე პროკლამაციები დაინახეს გაკრული, მაშინ კი დარწმუნდენ.

ბრძოლით მოპოვებული ოლქის გასაბჭოებისათვის ორი თვის განმავლობაში შეუპოვრად შრომობდენ. ნაყიდობის ქაღალდები იწვის. მემამულეებს ქონება ერთმევათ და გლეხთა კომიტეტის განკარგულებაში გადადის. ახალი საბჭოთა ფულიც კი გამოდის, ზედ მარქსისა და ლენინის გამოხატულებით.

ჩუდეს რაზმები ამის შემდეგ მიემართებიან მეზობელ პროვინციაში—ცზიანსში. ისინი იქ მიუვალ მთების ხეობებში მაგრდებიან და რამოდენიმე კვირის განმავლობაში თხუთმეტამდე მაზრა ხელში უკავიათ.

გენერლებმა მთელი თავისი ჯარი ფეხზე დააყენეს, რომ იქნებ ჩუდე ამ ხეობებიდან გამოედევნათ. მიზანს რომ ვერ მიაღწიეს, ადგნენ და ბრძანება გასცეს გარშემო ტყე სულ გადაეკაფნათ და ზარბაზნების სროლა დაეწყოთ.

წითელარმიელები მილიტარისტების უძლურ სიბრაზეს დასცინოდენ.

მაგრამ ჩუდე მაინც იძულებული გახდა მიეტოვებინა ეს ადგილი, რომელიც მთავრობის ჯარებით იყო გარშემორტყმული. კარგა გვიან ინგლისური გაზეთი „ნორდ ჩაინა-დეილი ნიუს“ გაკვირვებული იყო, რომ როგორ მოახერხა ჩუდემ ასეთი ალყიდან გაძვრომა და საერთოდ აოცებდა წითელი მებრძოლების საკვირველი საქციელი.

„არ შეიძლება არ მოიხიბლო შედარებით ასე მცირე რაზმების ლიდერების მოქმედებით, თვითონ ამ რაზმების

მოქნილობით, მათი გაძლიერებული სვლით, სტრატეგიით. როცა ისინი ალყაშემორტყმულ ჯარს თავს დაალწევენ ასე გგონიათ ხელიდან გაუსხლტაო“.

ვიდრე შეწუხებული გენერლები თავს იმტვრევენ იმის გამოსარკვევად, თუ სად შეეძლოთ წითლებს გაპარვა, ჩუდეს რაზმებმა მთელი ცზიანსი გადალახეს აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და ქალაქ ლუნანის კედლებთან გაჩნდენ. 1928 წლის 23 მაისს ლუნანი დამარცხდა.

უფრო ადრე, 13 მარტს, სამხრეთ-დასავლეთის ფუცზიანის მთავარი ქალაქი—დინჯოუ აიღეს. გენერალ გოფინ-მისმა ჩანლისთან წინააღმდეგობის გაწევა სცადა, მაგრამ საკუთარი თავი გადააყოლა ამ წინააღმდეგობას, შეიპყრეს ბრძოლის ადგილას და იქვე დახვრიტეს.

რაზმებმა დინჯოუში სამი კვირა დაჰყვეს. ამ ხნის განმავლობაში ქალაქი არაჩვეულებრივი ამბებით ცხოვრობდა. ორმოც მეპატრონეს მთელი ქონება ჩამოართვეს. ვაჭრების ორასი სახლი მშრომელთა განკარგულებაში გადავიდა, ბრინჯის მთელი მარაგი იქნა ჩამორთმეული და საბარათო სისტემა დაწესდა მშრომელებისთვის მის გასანაწილებლად.

ჩუდეს ჯარის სასარგებლოდ, რომელშიაც ამჟამად 2800 მებრძოლი ითვლებოდა, ვაჭრებს სამხედრო კონტრიბუციად 400.000 მექსიკანური დოლარი შეაწერეს, და დინჩჯოუდან ჯარი უფრო გაძლიერებული გავიდა.

26 მაისს ამ ჯარმა ქალაქი იუნდუნი დაიკავა, რამაც პროვინციის ყველა კუთხეს აჯანყების ნიშანი მისცა. მემამულეთა სასახლეები და ქონება ცეცხლის ალმა მოიცვა. ბევრი ტიხაოს და ჯენტრის თავი ძოშორდა კისერს და მარგილებზე ჩამოეგო. თერთმეტმა რაიონმა წითელი დროშა ააფრიალა.

შანხაი, იუნდინი, დინჩჯოუ, მეისიანი, უპინი,—აი ჩუდეს შემდგომი მსვლელობის პუნქტები. 1928 წლის ოქტომბრის ბოლოს მეოთხე კორპუსი გუანდუნის საზღვარს ლახავს. მისი დარჩენა ფუნცზიანში და ცზიანში ზედმეტი აღმოჩნდა, რადგანაც პარტიზანთა ასეული რაზმები და ათეული საბჭოთა რაიონები უიმისოთაც მშვენივრად უმასპინძლდებოდენ ადგილობრივ გენერლებს.

1929 წელი თითქმის მთლიანად გადის გუანდუნის მილიტარისტებთან ბრძოლაში. აქა-იქ ჩნდებიან მოხეტიალე საბჭოთა რაზმები, რომლებიც მუდამ წითელი არმიის ნაწილებს თან დასდევენ. კომუნისტური რაზმებისთვის მანძილი არ არსებობს: დღეს ისინი გუანდუნში არიან, ხვალ—ცზიანში; სვატოუს ნავთსადგური რამდენიმეჯერ გადადიოდა ხელიდან-ხელში.

რევოლიუციონური მოძრაობა და აჯანყებათა ტალღა წლის ბოლოს გუანსის, ხენანის, ხუნანის, ჩჯეცზიანის, ხუბეის, ანხოის, სიჩუანის და ცზიანსის პროვინციებს მოედო. ჩუდეს კორპუსი ამ მომენტში ფუცზიანის, ცზიანსის და გუანის პროვინციების წინ მდებარე რაიონებს იკავებს და ერთსა და იმავე დროს სამივე მიმართულებით აწარმოებს შეტევას.

ფუცზიანის დასავლეთ ნაწილში ჩუდემ საბჭოთა ხელისუფლება დაამყარა. ამუშავდენ პროპაგანდისტთა სკოლები, ამოქმედდა სამხედრო არსენალიც.

აპრილში ჩუდეს რაზმები ისევ გუანდუნის აღმოსავლეთ ნაწილისკენ მიიწევენ. თან დაუღალავი ბრძოლის ცეცხლიანი სიტყვები მოაქვთ. ისინი სვატოუს უახლოვდებიან. ჩუდეს წინააღმდეგ გაგზავნილი მთავრობის ჯარი თავის აფიცრებს ხოცავენ და მის მხარეს გადადის. შანოსა და შანფუნის რაიონებში საბჭოთა ხელისუფლებაა.

ინგლისური გაზეთი „გონკონგ ტელეგრაფ“, რომელიც აქამდე წითელ პარტიზანებზე ხმას არ იღებდა, ახლა დაღვრემილი იუწყება:

„კომუნისტების მოღვაწეობა სვატოუს რაიონში, თანდათან უფრო ფართოვდება. კომუნისტური არმიის ჯარისკაცები ღარიბებს ხელს არ ახლებენ. ისინი ბრინჯის საფასურს იხდიან და ყველგან აცხადებენ, რომ ღარიბებს არ უნდა ეშინოდესთ. ჩუდეს და მის ცზი-დუნს ცზიანსის და ფუცზიანის საკმაო ტერიტორია უკავიათ ხელში. თუ მთავრობა გადამწყვეტ ზომებს არ მიიღებს, მაშინ ისინი სვატოუს და მთელ მის გარშემო მდებარე რაიონს დაიპყრობენ“.

ჩუდეს თავი ახლა გენერლების მიერ 30.000 დოლარად არის შეფასებული. ჩუდეს წინააღმდეგ ნანკინი სპეციალურ „წითლების საწინააღმდეგო“ არმიას ადგენს, რომლის საჭიროებისათვის გადადებულია 600.000 მან. მაგრამ ყველაფერი ეს ამაოა. ჩუდეს ძალა ხალხის რისხვაშია რომელმაც მოთმინების ათასწლიანი ქერქი გააპო.

გომინდანის მილიტარისტები თვითონ უფრო ადრე მოიტეხენ კისერს, მაგრამ ჩუდეს კი ვერ დაამარცხებენ.

ა—ლი

## საყოველთაო-სავალდებულო სწავლება

საყოველთაო სავალდებულო სწავლების შესახებ ბ. კ. ო. სიღნაღის რაიბიურომ უკვე მიიღო მითითებანი ცენტრალური ბიუროდან და შეუდგა მის დამუშავებას. მოწვეულ იქნა თათბირი საყოველთაო სავალდებულო სწავლების შესახებ, სადაც მიღებულ იქმნა პრაქტიკული სამუშაო გეგმა. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ მუშაობა არ დაწყებულა. ადგილებზე არ არიან გამოყოფილი ინვენტარის შემკეთებელი ბრიგადები, რაიბიუროსთან არ არსებობს საკონსულტაციო ჯგუფი, არ არის გამოყოფილი კომისია მატერიალური ფონდის შესაქმნელად.

რაიბიურომ უნდა იზრუნოს, რომ თათბირზე მიღებული დადგენილება ქაღალდზე არ დარჩეს.



პიონერი ხელობაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ბუდაპეშტში

ილუსტრაცია მხატვარ ტიმოშევის

**ია ჯიბლაძე**

ქალაქ ბუდაპეშტის (უნგრეთი) ქუჩები თითქმის მიწყნარებულია. აღარავინ დადის ქუჩაში, მხოლოთ აქა-იქ თუ გაიგონებთ რაღაცა ფაცა-ფუცს. სჩანს პოლიციის საწინაალმდეგოდ რაღაცა კეთდება.

—უკვე საათის სამია, თუ არ ვიჩქარეთ სადაცაა ქუჩები ახმაურდება და საქმე გაგვიფუჭდება. პოლიციას დაუზვერავი არ დავრჩებით. დაბალი ხმით ჩასჩურჩულა თავის ამხანაგს უნგრილმა ვისიმ.

—კარგი, მე განაპირა ამხანაგებს შევატყობინებ, რომ პლაკატები და ლოზუნგები შესამჩნევ ალაგას გააკრან და ისევ დავბრუნდები. მინამ დავბრუნდებოდე, შენ აქ თვალი კარგათ დაიჭირე არავინ შეამჩნიოს ჩვენი მოქმედება—სთქვა მეორე ამხანაგმა სურანტომ და ქუჩის მეორე მხარეს გადავიდა სხვა ამხანაგების შესაერთებლად.

ეს ამბავი ხდებოდა ახალგაზრდათა საერთაშორისო დღის მოსაწყობად. პოლიციისა და მთავრობის მიერ შევიწროებული მუშა ახალგაზრდობა ცდილობდა მოეწყო მიტინგი და საგაფიცვო დემონსტრაციები, და ეს კი მოითხოვდა მალულად მოწყობას, ვინაიდან პოლიციის მიერ ადრევე იყო გაცემული ბრძანება, ყოველგვარი დემონსტრაციების მოწყობის აკრძალვის შესახებ. ვისი და სურანტო კი ერთ-ერთ კერძო მესაკუთრეს ქარხნის მუშები იყვნენ, რომლებსაც დავალებული ქონდათ დემონსტრაციის ჩატარება იმ რაიონში, სადაც იყო მუშათა უბანი და ქარხნების უმთავრესი ნაწილი.

და დავალებასაც კარგათ ასრულებდა ორი დაინტერესებული ამხანაგი სხვა მონაწილეებთან ერთად. პლაკატები და ლოზუნგები დაიბეჭდინეს. მონაწილე მოთავე ამხანაგების თათბირი მოიწვიეს, პოლიციის შეუმჩნევლად, სადაც დაამუშავეს ახალგაზრდობის დღის ჩატარების გეგმა.

სურანტოს კარგა ხანი დააგვიანდა. ვისი ქუჩასა და გუშაგს ათვალთვალებს, თან ძილი მოსდის, და თან საქმის შესრულება გაუელვებს გულში და გამოაფხიზლებს. აგონდება ვისის ის ამბები, რომელიც დაატყდა თავს ახალგაზრდობის მოძრაობში მონაწილეობისათვის და მოსვენებას არ აძლევს ის სისხლის ღვრები, რომელიც განიცადა მშრომელმა ახალგაზრდობამ.

ის იყო, ვისის უნდა ალაგი გამოეცვალა, რომ თავს წამოადგა სურანტო და დაბალი ხმით წასჩურჩულა...

— ვისი—ფრთხილად. ჩვენი ამხანაგების ნაწილი უკვე ჩავარდნილია. საქმეს სერიოზულობა მართებს, თორემ დავიღუპებით. სურანტო თან უამბობს თავის ამხანაგს და თან აღელვებისაგან სულს ძლივს ითქვამს.

ვისის თითქოს თავში ჩაარტყესო დაიშმუშნა. და ცოტა ხნით ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა, შემდეგ ძლივს ამოიძახა:

— მაშ დატუსაღება არ აგვცდება, სჯობს ადგილი დავტოვოთ და ვაცნობოთ ამხანაგებს, რომ არ შეიპყრონ ისინი. რაკი საქმე დავიწყეთ, როგორც არ იყოს დავაბოლოვოთ.სთქვა გამხნევებულმა ვისიმ პლაკატების შეკვრას ხელი დაატანა, იღლიაში ამოიდო და გაექანა. უკან სურანტო დაედევნა და მეორე თავშესაყართან გაჩნდენ, სადაც ეგულებოდათ თავისი ამხანაგები.

ალბათ ესენიც ჩავარდნილან ჩაილაპარაკა ვისიმ, როცა დაინახა იქ არავინ იყო.

იქნება შეუტყვეს და დაატუსაღეს დაუმატა სურანტომ.

ამხანაგები ძალიან შეწუხდენ იქ რომ არავინ დაუხვდათ, მაგრამ შიში მაინც არ უგრძვნიათ და განაგრძობდენ ლოზუნგების გაკვრას ქუჩაში. ლოზუნგები და პლაკატები, რომლებიც დიდი ასოებით იყო დაბეჭდილი შემდეგს ამბობდა: „ძირს სისხლის მსმელი პოლიციის წინააღმდეგობა, გაუმარჯოს ახალგაზრდობის ბრძოლაში დარაზმვას ბურჟუაზიული წესწყობილების დამხობას“.

— უკვე სადაც არის გათენდება. საჭიროა მინამ ქუჩები ახმაურდებოდეს თავს უშველოთ და თავის მოყრის ადგილას თავის დროზე გამოვცხადდეთ... უთხრა ვისიმ.

მოსცილდენ აქაურობას. საგუშაგოზე მდგომ პოლიციელის შეუნიშნავად გვერდით აიარეს, და თავისი ქარხნის ახლოს სადაც იყო გამოსვლები დანიშნული სწრაფლ გაჩნდენ.

მეტი ნაწილი მუშა-ახალგაზრდობისა თავშეყრილი დაუხვდათ. ამხანაგებში ჩოჩქოლი ატყდა როცა დაინახეს ვისი და სურანტო. იმათ უკვე გადაეწყვიტათ მოთავეთა ჩავარდნა პოლიციის ხელში, მაგრამ როცა უვნებლათ დაბრუნდენ ამხანაგები სიმხიარულეს მიეცნენ.

ხალხი და განსაკუთრებით მუშა-ახალგაზრდები თანდათან ემატებოდა დემონსტრანტებს. აუარებელი ქარხნები დარჩა უმუშახელოდ, მთელი ქარხნის მუშები ნაცვლად სამუშაოზე გამოცხადებისა, დემონსტრაციაზე მიეშურებოდენ.

საქმე ჯერ-ჯერობით კარგათაა, მგონი მოვასწროთ პოლიციელებს ქუჩაში გავლა, სიხარულით წარმოსთქვა ვისიმ.

ეს ყოველივე ისე ხდებოდა, რომ პოლიციას, მიუხედავად იმისა, ადრე ქონდა მზადება ამ საქმის ჩახშობისა, მაინც ვერაფერს მიაგნო და ამით საქმეც იმართებოდა.

მოგებით აღშფოთებულმა ქარხნების ადმინისტრაციამ სამუშაო საყვირი მისცეს, მაგრამ სამუშაოზე არავინ ცხადდებოდა.

პოლიცია ქუჩაში არავის უშვებდა. არავის შეეძლო ბინებიდან გამოსვლა. პლაკატები და ლოზუნგები უფრო ბრაზს უმატებდა მთავრობას, და თვით სამინისტრო ჩაერია ამ საქმეში. პოლიცია განაგრობდა ხოცვა-ჟლეტას, ვისაც კი ჩაიგდებდენ აჯანყების მონაწილეს. ახალგაზრდა მუშების კოლონები კი მედგრათ მიარღვევდა მუშურ უბნებს ინტერნაციონალის სიმღერით.

მხარულება დიდ ხან ს არ გაგრძელდა. როდესაც პოლიციამ პირადი მოლაპარაკე-

განვამტკიცოთ კავშირი უცხოელ ამხანაგებთან!



ეროვნული

ბით ვერაფერს გახდ, მიმართა სამხედრო წესებს. ატუსაღებდიან და თოფებიდან ესვროდნენ მონაწილე ახალგაზრდობას...

ის საშინელი და ბნელი საპყრობილე, რომელიც მხოლოდ ამ საქმეს ემსახურება მჩაგვრელთა სახელმწიფოში, მალე დემონსტრანტ ახალგაზრდებით აივსო. შიგ აგრეთვე ბევრი იყო მონაწილეთა ძმები და მშობლებიც, რომლებიც აგრეთვე მონაწილეობას იღებდნენ დემონსტრაციაში.

საპყრობილეში გასინჯვა და გადარჩევა სასწრაფოდ ხდებოდა, ვინც ხელმძღვანელი იყო ამ საქმის მისთვის ბნელი და ნესტიანი საკანი იყო გამზადებული. ბავშებსაც შეუბრალებლად ათავსებდნენ ამ საშინელ შენობაში და ერთხელაც არ უფიქრიათ მათი ნაზი აგებულობის შესახებ.



**ყველანი რემედასში! — დავეხმაროთ კაპიტალის ტყვეებს!**

პოლიციამ თითქმის მიზანს მიაღწია, მონაწილეთა უმრავლესობა დატუსაღებული იყო და ზოგი სრულიადაც გამოესალმა სიცოცხლეს, შეტაკების დროს, მაგრამ რამდენიმე ხელმძღვანელებმა თავი დააღწიეს ჯალათებს და დროებით უშველეს თავს.

ვისი და სურანტო ჯერ-ჯერობით ახერხებდენ თავის შიფარვას და უნდოდათ არ ჩავარდნოდათ ჯალათებს ხელში, მაგრამ ესეც ძნელი აღმოჩნდა, ქუჩაში ვერ ჩნდებიან

სიწყნარეა ქუჩებში. კმაყოფილი მთავრობა და პოლიცია თავისუფლად და სრულიად გამარჯვებულად გრძნობს თვს, და რა ხდება მუშათა ოჯახებში ამისათვის ხომ არ იტკივებენ ისინი თავს.

ვისი და სურანტო ერთ წვრილმანით მოვაჭრე დუქნის ქვეშ იყვნენ თავშეფარებული და ქუჩის მოძრაობას ჩუმად თვალყურს ადევნებდენ.

— ალბათ აქაც მოგვაგნებენ სთქვა ბრაზმორეულმა ვისიმ.

— საეჭვო აღარაა, ცოტაცა და ღამის განმავლობაში აუცილებლად სამყოფი უნდა გამოვიცვალოთ. განმარტა სურანტომ.

ქუჩის საათმა რვა დაჰკრა. პოლიციამ საგუშაგოზე დარაჯები ჩაამწკრივა. გარდა პოლიციისა და მთავრობის ხალხისა— ქუჩებში არაფერი მოძრაობაა, ღამე არავის ატარებენ. სრულიად უმართებულოდ ატუსალებენ გამვლელებს.

ამას ყოველივეს ხედავს ვისი, რომელსაც თავი დუქნის ქვეშიდან ამოუწევია და სისხლი უჩქებს სიმწარისაგან.

— ხედავ სურანტო?.. როგორ შეუბრალებლად აწიოკებენ ჩვენს კლასიურ ძმებს, აი როგორ გაძღნენ ჩვენი სისხლით მოწყურებული პოლიციელები—თან ამბობს აღელვებული ვისი და თან სიბრაზით ხელებს ერთმანეთზე იფშვენტს.

არა ნაკლებ სწუხდა სურანტოც და არ იცოდა რა ექნა, მაგრამ ორივე ამხანაგი დროს უცდიდა, და არ შეიძლებოდა ერთბაშათ დატაკება ძლიერ მტრებზე.

უკვე მთელი ქალაქის მცხოვრები თუმცა აღელვებულია, მაგრამ მაინც ძილს მისცემია, არ სძინავს სურანტოსა და ვისის, რომელთა მიზანია ან თავი დააღწიონ ჯალათებს და ხელში არ ჩაუვარდნენ ან კიდევ და რამდენიმე სისხლის მღვრელის მოსპობით [illegible] დაიჯერონ.

ღამის პირველი საათია. ქუჩებში დიდი სიწყნარეა. აქა-იქ გუშაგი თუ დაარღვევს თავის უკმაყოფილო ბუზღუნით სიმშვიდეს, რომელსაც ძილი მორევია და თან სამსახური უნდა შეასრულოს...

საგუშაგოს უფროსმა ჩამოიარა. გუშაგები გასინჯა და სრული დაიმედებული სადგომში წავიდა.

სწორედ იმ ალაგას, სადაც ვისი და სურანტო იყო ჩამალული, იდგა ერთი დიდი ახმახი უნგრელი, თოფი უშნოთ მხარზე გადაეკიდა, და იმ მიზნით, რომ ძილი არ მორეოდა დაბალი ხმით ღიღინებდა.

ესმოდა ყოველივე ვისისა და სურანტოს და ცეცხლი ენთებოდათ ახალგაზრდა გულებში...

— დაგვაცადე! მალე მოუღებთ ბოლოს მდიდრების ბატონობას, სთქვა ვისიმ და მოემზადა ზევით ამოსავალად, სურანტოსაც ანიშნა როგორ მოქცეულიყო და სწრაფად ორივე მებრძოლი ელექტრონის ბოძს ამოეფარენ. როცა დარწმუნდენ, რომ პოლიციელი სანახევროთ გატვრინულია ძილისაგან გადასწყვიტეს მისი მოკვლა.

ვისი საცემლად მოემზადა, სურანტოს გაფრთხილება მისცა თუ საჭირო იქნებოდა დახმარებოდა, ისე კი დარჩენილიყო ალაგზე და თვალი ედევნებია სხვა მზვერავის თვის.

პოლიციელი თავს კარგათ ვერც კი იმაგრებს ისე აქვს ძილი მორეული. ამ დროს ვილაცა ზურგიდან დაეჯახა, პირში ცხვირსახოცი ჩასჩარა და ფეხის წამოკვრით მიწაზე შხლატანი მოადინა.

ეს იყო ვისი, ყველაფერი ისე სწრაფ მოხდა, რომ პოლიციელმა ველარაფერი წინააღმდეგობა გაუწია ვისის. ხელები ისე მაგრად ჩასჭიდა ყელში, რომ უკანასკნელი სულის აცლას ებრძოლებოდა.

დარწმუნებული სურანტო, რომ არავის შეუმჩნევია ეს ამბავი, თვითონაც მივარდა დედამიწაზე გაშოლტილ სულთმბრძოლავ პოლიციელს, და რამოდენიმეჯერ ღონიერი წიხლი უთავაზა.

ასე დაარჩვეს ორმა ამხანაგმა ბრიყვი პოლიციელი და სწრაფ გაიქცნენ წყვდიად ღამეში.

საპყრობილეს ძიმართულებით მიმავალ ქუჩას შვაზე მდინარე სჭრის. მდინარის ხმაურობაზე ამხანაგებმა უფრო თავისუფლად შესძლეს გავლა, და არც არავის შეუმჩნევიათ, მალე ციხის კარებს მიუახლოვდენ, სადაც კარების დარაჯი ძილს ებრძოლებოდა და არ უნდოდა შეემჩნევია სიზარმაცე. სატუსაღოს წინ დადიოდა და თან კამერების სარკმელებს ათვალიერებდა...

— ბრძოლის შესოსტება არც აქ ვარგა. გადაულაპარაკა ვისიმ სურანტოს, რაც მოგვივა მოგვივიდეს, ესეც არ ასცდება ჩვენს ხელებს, ვინემ ჩვენ, მანამდე მაგ დავიგდოთ ფეხქვეშ, იქნება მინამ დროა ჩვენს ძმებს უშველოთ.

ამხანაგები მოლაპარაკდენ თუ როგორ ემოქმედათ დარაჯის საწინააღმდეგოთ დარაჯი კი განაგრძობდა სიარულს და თოფი ხელში თითქმის უვარდებოდა, ისე მოელალა ძილს.

ვისიმ და სურანტომ ხელში ქვები მოიმზადეს; იქით აქეთ მიმოიხედეს და როცა დაინახეს არავინ არის სხვა ციხის ახლოს, გადასწყვიტეს დარაჯი დაემორჩილებიათ.

ორივე ამხანაგი სწრაფად აქეთ-იქით ამოეფარენ და როცა მოსიარულე დარაჯი ციხის კრებისაკენ გაბრუნდა, ამ დროს ორივე ერთად წამოეწივნენ, ხელები სტაცეს, ერთმა თოფის ართმევა დაუპირა, მეორემ პირში დამჯიღლილი ქვიანი ხელი მისცა. პოლიციელი ძლიერი აღმოჩნდა. მალე პირი გაინთავისუფლა და მთრთო ღრიალი, ხმაურობაზე ახალგაზრდა მებრძოლნი დაიბნენ. ქვები დასცეს და თოფის სროლა კი ვერ გაბედეს, ის იყო თავის საშველად გაქცევას აპირებდიან. რომ გარს პოლიციის მთელი რაზმი შემოეხვია, ცემითა და ტყეპით იქვე ციხეში ჩაყარეს ორივე ამხანაგები და საკნის ბნელი კარები მაგრად ჩასჭედეს.

ცოცხალმკვდარი დარაჯი მალე სამკურნალოდ გააგზავნეს.

დილით ჰუპრიუტანიდან შემოსულ სინათლეზე გაარჩევდით საკანში მოთავსებულ მოთავე ამხანაგებს და მათ შორის ძალაზე აღელვებულ და ცემისაგან ნაწვალებ ვისისა და სურანტოს.

აი როგორ უპასუხა პოლიციამ და კაპიტალისტურმა მთავრობამ ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის აღსანიშნავ დემონსტრაციის მომწყობ ახალგაზრდა მუშებს...

გ. ლეჟნივი

# შემოდგომის თესვის კამპანია

საშემოდგომო თესვის კამპანიის საკითხი განხილულ იქნა სიღნაღის რაიონის პ/აქტივის სარაიონო თათბირზე; ხაზგასმით აღინიშნა პიონერების მიერ წარსულ კამპანიაში დაშვებული ნაკლოვანებანი, მიღებულ იქნა პრაქტიკული ღონისძიებები და დამტკიცდა გეგმა, თუ რა უნდა გაკეთდეს პიონერების მიერ კამპანიის დროს. დასასრულს გამოიყო სიღნაღის პ/კოლექტივებიდან აქტიური პიონერების 12 ბრიგადა და დაიგზავნა რაიონში თესვის კამპანიის სახელმძღვანელოდ. ბრიგადებმა თან წაიღეს საჭირო საგლეხო ლიტერატურა, რომელიც უფასოდ დაურიგდა პ/კოლექტივებს და გლეხობას.

ბრიგადები ადგილებზე უმთავრესად კულტურულ მუშაობას აწარმოებდენ, დგავდენ წარმოდგენებს, უშვებდინ კედლის გაზეთებს და სხვა. ბევრგან ბრიგადების უშუალო მონაწილეობით და ხელმძღვანელობით შესდგა გლეხთა კონფერენციები (მაგ. წნორი, კილმეჩური, ბოდბე და სხვა), სადაც მთავარ საკითხად იდგა საშემოდგომო თესვის კამპანიის ბოლშევიკურად ჩატარების საკითხი.

პ/კოლექტივებთან დაარსდა აგრონომიული წრეები, სადაც პიონერები სწავლობენ თესლის შეწამვლას, მწკრივად თესვას და სხვა. ადგილებზე პ/კოლექტივებს აქვთ თავისი პრაქტიკული სამუშაო გეგმა, შემუშავებული რაიბიუროს დირექტივის საფუძველზე. გარდა კულტურული მუშაობისა, ბრიგადები შეუდგნენ ტრიერზე მუშაობასაც. სულ მთლიანად რაიონის მაშტაბით პ/ორგანიზაციის მიერ უნდა გაიწმინდოს 20,000 ფუთი სათესლე ხორბალი, რამოდენიმე ათასი ფუთი კი უკვე გაწმენდილია.

გათვალისწინებულია რა მეფრინველეობის უაღრესი მნიშვნელობა, გეგმაში ხაზგასმით არის აღნიშნული რომ რაიონებში უნდა დაარსდეს მეფრინველეთა 7 არტელი პ/კოლექტივებში' აქედან რამდენიმე უკვე მოეწყო.

ბრიგადებმა აამოძრავეს ადგილებზე პ/კოლექტივების „მსუბუქი კავალერიის" ჯგუფები, რომელთაც მოახდინეს თავდასხმა და გამოარკვიეს შემდეგი: ს. ქვ. მაჩხაანში მუშაობს მხოლოდ ერთი ტრიერი, სათესი მანქანები უმოქმედოდ დგას, რასაც ყურადღებას არავინ აქცევს. ს. კილმეჩურში შემოდგომის თესვა საფრთხეშია, არ მოიპოვება საკმაო ტომრები ხორბლის შესანახად, არ არსებობს ბეღელი, ალმასკომის თავმჯდომარე გულხელდაკრეფილი შესცქერის და ხელცალიერი ხვდება თესვას „მ. კ" ჯგუფებმა ბევრი ნაკლი გამოამზეურეს.

ბრიგადებმა შემოდგომის თესვის წარმატებით ჩასატარებლად ყურადღება მიაქციეს სხვა კამპანიებსაც. მაგ.: სესხის „5 წლედი 4 წელში" რეალიზაციას პ/კოლექტივებში, დაამუშავეს საკითხი „საყოველთაო სწავლება", განსაკუთრებით დიდი ყურადღება კი სილოსის მშენებლობას მიაქციეს. ზოგან ეს საქმე მოისუსტებდა, მაგრამ რაიბიურომ დაიწყო სასილოსე ორკვირეულის ჩატარება, და სილოსის მშენებლობაც დაკვრითი ტემპით წავიდა წინ.

**საშემოდგომო თესვის კამპანიის უკეთ ჩატარებისათვის რაიბიურომ დააწესა გარდამავალი ჯილდო „წითელი დროშა". საშემოდგომო თესვის კამპანიის ჩატარებაში სიღნაღის რაიონის პ/ორგანიზაციამ თავი გამოაცხადა დამკვრელად და შეჯიბრებაში გამოიწვია ლაგოდეხის რაიონის პ/ორგანიზაცია.**

**ველით ლაგოდეხიდან კორესპონდენციას, თუ როგორ მიმდინარეობს შეჯიბრება.**

**რედაქცია.**



ბაკურიანის პიონერები შაბათობაზე

**„მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღე"-ს საჭიროა: მივაღწიოთ გარდატეხას შემოდგომის თესვის გეგმის შესრულების ტემპებში; გადაჭარბებით შევასრულოთ პურის ჩაბარების გეგმა; ავკრიფოთ ბამბის მოსავალი და რაც შეიძლება მალე მივცეთ ახალი მოსავლის ნედლი მასალა საბჭოთა საფეიქრო მრეწველობას".**

(საკ. კ. პ. (ბ) ამ. კავ. სარლქო კომიტეტის მიმართვიდან).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ. ქუპატაძე

# შეუკავშირებელ ბავშთა შორის

## (პიონერთა მუშაობის პრაქტიკიდან)

მშრომელთა ფართო მასების მონაწილეობით, კომუნისტური პარტიის ლენინური ხელმძღვანელობით ჩქარი ტემპით მიმდინარეობს სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქცია, რომელსაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მეურნეობის სოციალისტური გზით განვითარებისათვის, სოციალისტური მშენებლობის დაჩქარებისათვის.

სოციალისტურ მშენებლობაში არა ნაკლებ მონაწილეობას ღებულობს მომავალი თაობაც, როგორც ეკონომიურ, ისე კულტურულ ფრონტზე, მაგრამ ყველა ბავში როდი იღებს მონაწილეობას ჩვენს სოციალისტურ მშენებლობაში, ვინაიდან ზოგი მათგანი აღზრდილია ჩვენთვის კლასიურად მიუღებელ ოჯახში, ზოგიც თავისი კულტურული ჩამორჩენილობის გამო დგას პიონერთა რიგების გარეშე და შორიდან უყურებს პიონერების პრაქტიკულ საქმიანობას. ეს ბავშები უმთავრესად პიონერული ასაკის მოჯამაგირე, ხელოსანი, ღარიბი გლეხი ბავშები არიან. ეს გარემოება გვავალებს ჩვენი მუშაობის ქსელის გაშლას შეუკავშირებელ ბავშთა შორის მუშაობის შესახებ მრავალი თქმულის და დაწერილის (კომკავშირის ყრილობების და პიონერთა რესპ. თათბირების მიერ) განმეორება-შესწავლას, რომ შევძლოთ შეუკავშირებელ ბავშთა გაერთიანება ჩვენს პიონერთა რიგებში.

შეუკავშირებელ ბავშთა შორის მუშაობა რთულია და ეს საკითხი ვერ მოგვიგვარებია მთელ რიგ მნიშვნელოვან ადგილებში.

რა არის ამის მიზეზი, რა აბრკოლებს მის მოგვარებას?

ზოგიერთი პიონერ მუშაკი არ იცნობს პიონერთა მუშაობის პრაქტიკას, შეუკავშირებელ ბავშთა შორის მუშაობის ამოცანებს და კმაყოფილდება მოწაფე ბავშთა პიონერორგანიზაციაში ჩაბმით, რაც არ მოითხოვს დიდი ენერგიის დახარჯვას: საკმარისია ჯგუფში გამოაცხადო პიონერთა ორგანიზაციაში შესვლის შესახებ, და მაშინვე კოლექტიურად ეწერებიან მოწაფე ბავშები პ.-ორგანიზაციაში. ზოგი მუშაკნი კმაყოფილდებიან შეუკავშირებელ ბავშთა შორის მუშაობაში თქმით „შემოდი პიონერთა ორგანიზაციაში", და არავითარ პრაქტიკულ მუშაობას არ აწარმოებენ, რომ დააინტერესონ შეუკავშირებელი ბავშები და მიიზიდონ პიონერთა რიგებში. ზოგიერთ ადგილას პიონერთა რიგებს სტოვებენ პიონერები, და ეს უმთავრესად იმიტომ ხდება, რომ მოსწყინდათ ბავშებს მშრალი საუბრები, ერთისა და იმავეს განმეორება, მათ მოთხოვნილებებს ანგარიშს არ უწევენ, ზოგიერთ კოლექტივში ხელმძღვანელის გულგრილობის, უპასუხისმგებლობის და კომკავშირის უჯრედის სუსტი ხელმძღვანელობის გამო კოლექტივი დაშლის გზაზე დგას.

შეუკავშირებელ ბავშთა შორის მუშაობის გაჯანსაღებისათვის, მისი მთლიანად მოგვარებისათვის არ უნდა დაგვავიწყდეს შემდეგი:

1) მჭიდრო კავშირი უნდა იქნეს გაბმული შეუკავშირებელ ბავშთა მშობლებთან, როგორც პრაქტიკული მუშაობით, ისე სააგიტაციო - საპროპაგანდო ხასიათის საქმიანობით.

2) კოლექტივების მიერ მოწყობილ კულტურულ - საზოგადოებრივ მუშაობაში მიზიდულ უნდა იქნენ შეუკავშირებელი ბავშები, რომ ამით მოხდეს მათში გარდატეხა პიონერთა რიგებში შემოსასვლელად.

3) კოლექტივებში აქტიური პიონერებისა და კულტურული ძალებისაგან უნდა შეიქმნეს საინიციატივო ჯგუფები, შეუკავშირებელ ბავშთა შორის სამუშაოდ, რომლებიც ინდივიდუალური ახსნა - განმარტებებით და ჯგუფური საუბრებით (პიონერთა ამოცანებთან შეფარდებული საკითხების შესახებ) შესძლებენ შეუკავშირებელი ბავშების ჩაბმას პიონერთა რიგებში.

4) კოლექტივების მიერ გამოყენებულ უნდა იქნეს შეუკავშირებელი ბავშების ინიციატორობა სხვადასხვა კამპანიებში, როგორიცაა თესვის, პურის შეგროვების, „ხუთწლედი ოთხ წელში" სესხის რეალიზაცია და კოლექტივის სხვა კონკრეტული მუშაობაში.

5) აღრიცხულ და შესწავლილ უნდა იქნეს შეუკავშირებელ ბავშთა შორის მუშაობაში არსებული დეფექტები, მისი ძირ-ფესვიანად აღმოფხვრის თვალსაზრისით, პიონერთა მასიური მონაწილეობის გზით.

კოლექტივის მტკიცე ხელმძღვანელობით, პიონერთა აქტივის გამოყენებით, კომკავშირის უჯრედების მძლავრი ხელმძღვანელობით, საზოგადოებრივ პროფესიონალური ორგანიზაციების მონაწილეობით მთლიანად შევძლებთ პიონერთა მუშაობის სხვა საკითხების მოგვარებასთან ერთად შეუკავშირებელ ბავშთა შორის მუშაობასაც. ყველა ამ საქმიანობის გატარება ჩვენ არ შეგვიძლია პარტიის ძირა ორგანიზაციების ხელმძღვანელობის გარეშე. საჭიროა პარტუჯრედებმა ჯეროვანი ხელმძღვანელობა გაუწიონ პიონერთა კოლექტივებს.



პიონერი სწავლობს სროლას.

შევაკავშიროთ ბავშები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სხვადასხვა

## რჩევა-დარიგება ფიზკულტურელებს

1. შერჩევა ფიზიკურ ვარჯიშის, მისი შედეგი და დოზიროვკა (რიცხვი),—მუდამ უნდა შეეფერებოდეს წლოვანებას, სქესს და ფიზიკურ მდგომარეობას.

2. ჯგუფში ან წრეში ვარჯიშის დამოუკიდებლად შეიძლება ყველას ერჩიოს ტანვარჯიშის წარმოება სახლში—დილით, ტანვარჯიშის ინდივიდუალურ წესით, ექიმის რჩევის მიხედვით.

3. ფიზიკურ ვარჯიშის შეთანხმება უნდა იყოს მრავალმხრივი, რომელიც ამოძრავებს სხეულის ყველა ნაკვთს და კუნთებს.

4. ფიზიკური ვარჯიში უნდა შეუთანხმდეს ბუნების ძალთა (მზე, წყალი, ჰაერი და თვით მასაჟი) რაციონალურად გამოყენებას.

5. მუდამ უნდა დაიწყოთ მსუბუქ ვარჯიშიდან და თანდათან უმატოთ დატვირთვას.

6. არ უნდა მიხვიდე დაღლილობამდე, რომლის გამოძელავნებასაც იძლევა: გულის ფრიალი, სულის შეხუთვა, უძილობა, ძალის დაკარგვა და ბოლოს წონის მოკლება.

7. ვინც ფიზიკურ აღზრდას მისდევს, იცავს თავის ჯანმრთელობას— უნდა იყოს თავ-შეკავებული ყოველ ცუდ ზნე-ჩვევათაგან, არ სწევდეს თამბაქოს, არ სვამდეს მაგარ სასმელებს.

8. ტანაცმელი უნდა ჰქონდეს რაციონალური, ფეხსაცმელი ფეხზე მორგებული, არ ჰქონდეს მაღალი ქუსლი.

9. სავარჯიშო მოედანი უნდა იყოს მწვანეზე, მზიანზე, აქვე უნდა იყოს ტანსაბანი დუში და სხვ.

10. სავარჯიშო დარბაზი უნდა იყოს დიდი —თვითეულ მოვარჯიშეზე 5 კვადრატიულ მეტრის მოცულობით, სინათლიანი, უმტვერო, კარგი ვენტელიაციით, უფარდო; კედლები უნდა იყოს შეღებილი ზეთის საღებავით; იატაკი გაულენთილი ფლურიცით ან დაფენილი ლინოლეუმით, დარბაზში ტემპერატურა უნდა იყოს 8—10° სითბო.

## ტანისამოსის და ფეხსაცმელის ჰიგიენა

როგორც ყველამ ვიცით — ტანსაცმელი გვიფარავს ჩვენ სიცივის, წვიმის, მზისაგან და სხვ. ზამთარში ჩვენ განსაკუთრებით გვჭირდება კარგი და ჰიგიენური ტანსაცმელი. ტანსაცმელი უნდა იყოს შენაფერი, მოხერხებული, არ უნდა იყოს ვიწრო. ვიწრო ტანსაცმელი უშლის სისხლის სწორ მიმოქცევას, სუნთქვას, საჭმელის მონელებას. ბავშვებს ვიწრო საცმელი არ აძლევს საშუალებას სწორედ განუვითარდეთ ჩვილი ორგანიზმი; განსაკუთრებით ცუდია სხვადასხვა არტახები, თასმები და ვიწრო ფეხსაცმელი.

საცვლები უნდა იყოს „ქაღალდის" (ბუმაჟნი) ქსოვილისაგან შეკერილი, რადგან ის უფრო ითავსებს ოფლს, რომელიც გადის კანიდან. ზედა ტანსაცმი, წლის დროის მიხედვით, უნდა იყოს — ზამთარში თბილი, მატყლის და აგრეთვე მსუბუქი და ნათელი. ტყავის ტუჟურკები და საერთოდ ტყავისა და შირას (რეზინის) ტანსაცმი დაუშვებელია ჰიგიენის თვალსაზრისით. ისინი ჩვენი კანის ზედაპირს თავისუფალ აორთქლების საშუალებას არ აძლევენ.

ფეხსაცმელის შესახებ კი უნდა ითქვას, რომ ყოველი საშინელი ტკივილი, რომელსაც გვაყენებს კოჟრები (მაზოლი) შედეგია ვიწრო და მაღალქუსლიან ფეხსაცმელის; ის არ უნდა იყოს არც ძალიან ხალვათი; იგი უნდა იყოს ფეხზე მორგებული სწორედ, რათა ხელი არ შეუშალოს ჩვენს სწორ მოძრაობას. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამას ბავშვთათვის, რადგანაც ისინი თითქმის მუდამ მოძრაობაში არიან—თამაშობენ, დარბიან და სხვა.

## პავიანების გმირობა

რაში მდგომარეობს სოციალურ გრძნობათა უმაღლესი გამოხატულება?—რასაკვირველია თავის განწირვაში, მზად ყოფნაში: ანაცვალოს თავისი სიცოცხლე სხვას: თავისიანს, ამხანაგს და სხვა. ეს თავისებურება ერთგულებისა თავის კოლექტივისადმი ახასიათებს არა მარტო ადამიანებს, არამედ აგრეთვე ადამიანთაგან შორეულ არსებებსაც, თუ გინდაც, მაგალითად, მაიმუნებს.

აი შემთხვევა, რომელსაც გადმოგვცემს „ცხოველთა ცხოვრების" ავტორი—ბრემი:

ერთხელ ის რამდენიმე თავის ამხანაგთან ერთად ნადირობდა აფრიკაში დიდ მაიმუნებზე—პავიანებზე. მთელი ჯოგი მოსცილდა მონადირეთა დევნას, მხოლოდ ერთი პატარა მაიმუნი ჩამორჩა კლდეზე. ის ტიროდა, კიოდა, დახტოდა, მას გასაწეწად კი დაბლიდან უტევდენ გაკაპასებული მეძებრები და მწევრები. რა ეს შენიშნა ჯოგის უფროსმა, უდიდესმა ქაღარა პავიანმა—დაბრუნდა, და მკაცრად შეხედა ძაღლებს, ადამიანივით, ამაყად, რითაც შიშის ზარი დასცა მათ და აიძულა გზა მიეცათ, უკან დაეხიათ; მივიდა, პატარა მაიმუნი აიყვანა ხელში და შეუერთდა ჯოგს. მისმა ასეთმა თავგანწირულებამ ისე იმოქმედა მონადირეებზე, რომ ერთი ტყვიაც არ უსვრიათ გაქცეულ პავიანებისათვის.

მეორე მკვლევარი აბისინიის (აბაშეთის) უყრან ტყეთა,—გადმოგვცემს თავის დაკვირვებებს მოხეტიალე მაიმუნებზე: ცუდი დარის დროს მაიმუნები გადასახლდებიან ხოლმე ხშირ ტყიანებში. როცა გზად ტიტველი ველი შეხვდებათ—ისინი შემჭიდროებული რიგებით მიდიან მტრის შესაძლებელ თავდაცემის მოსაგერიებლად. წინ მიდის ძველი, გამოცდილი წინამძღოლი—მამალი, უკან მისდევენ ავადმყოფნი და დედლები—შვილებით.

საკმაოა ხელი შეახო, ან რაიმეთი შეაშინო უკან ჩამორჩენილი მაიმუნი, რომ ყველანი შესდგებიან და შეურაცხმყოფელს დაუშენენ, სეტყვასავით წვეტიან ქვებს. მხოლოდ კარგ ცხენს თუღა შეუძლია გადაარჩინოს გაუფრთხილებელი მონადირე აუცილებელ სიკვდილს, ქვებით ჩაქოლავს.

---

რედაქტორი: სარედაქციო კოლეგია

მთავლიტი № 1682. სტამბა „კოლექტივი" შეკვეთა № 3108 ტირაჟი 8500

ს. ს. ს. რ. სახელმწიფო გამომცემლობა

რუსთაველის პროსპექტი № 22, ტელ. 23—25.

გამომცემელი ჟურნალი

# პიონერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

E-45

ფასი 25 კაპ.